ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali-Taoba

15 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“ + საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია – ტომი 1
8 ლარი



ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2012 №248 (5938) ფასი: 30 თეთრი

მერაბიშვილი წავიდა, ოქრუაშვილი ბრუნდება

ბადრი ბიწაძე სასამართლოს მოლოდინშია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი ორდღიანი ვიზიტით საზღვარგარეთ იმყოფება. პრემიერის აპარატში არ აკონკრეტებენ, სად იმყოფება მერაბიშვილი.

გვ.5

ნანა პატარკაციშვილი: „ვინც წასასვლელია „იმედიდან“, წავიდეს!“

გვ.2

ნანუკა ჟორჟოლიანმა „იმედი“ დატოვა

ბიძინა ივანიშვილი: „პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“ ვალებისგან გათავისუფლებული უნდა დაუბრუნონ“

გვ.4

ყინწვისის მონასტერში დაკავებულები შველას ითხოვენ

თათია გელაშვილი: „მამას იმ დანაშაულს აბრალებენ, რაც არ ჩაუდენია“

გვ.3

არჩილ კბილაშვილი: „სასამართლო პროკურატურის მორჩილი აღარ იქნება!“

გვ.2



ელიზბარ ჯაველიძე: „ნაციონალური მოძრაობა უნდა აიკრძალოს!“

გვ.5

„ვაი იმ ქვეყანას, სადაც ბარამიძე დეპუტატი იქნება“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის აღდგენა აუცილებელია“

გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 ნანა კაკაბაძე: „სააკაშვილის ხელისუფლება უკვე წარსულს ჩაბარდა“

7 საქართველოში მამაკაცთა ზემოკვდაობა ფიქსირდება

6 ალექსი პეტრიაშვილი: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ჯერჯერობით არარეალურია

7 გურამ ოდიშარია: „არანაირ სკანდალში არ გავხვეულვარ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა პატარკაციშვილი: „ვინც წასასვლელია „იმედიდან“, წავიდეს!“

ნათია ხურცილავა

ტელეკომპანია „იმედში“ გუშინ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები მივიდნენ.

ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს ტაშით შეეგებნენ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს არხის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებმა განუცხადეს.

პატარკაციშვილის ოჯახის წევრებმა „იმედში“ გიორგი არველაძესთან მოლაპარაკებები გამართეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ტელეკომპანია „იმედს“ პატარკაციშვილის ოჯახი დააფინანსებს. ცნობილია, რომ არხს ვალი აქვს, რომელიც რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

მას შემდეგ, რაც ოჯახს დაუბრუნდება ტელეკომპანია, კვლავ დარჩება თუ არა ძალაში სახელმწიფოს ინიციატივა, რომ ვალების ჩამოწერა მოხდეს, უცნობია.

– ტელეკომპანია „იმედს“ ჩვენი ოჯახი დააფინანსებს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ტელეკომპანიაში გამართული შეხვედრების შემდეგ ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ, ინა გუდავაძემ განუცხადა.

მისი თქმით, პატარკაშვილის ოჯახი შეეცდება, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს გადაფორმების პროცესი.

– ჩვენთვის ჟურნალისტური ეთიკის საკითხი არ არის მარტო სიტყვები. ჩვენ შევეცდებით ვიყოთ ძალიან ობიექტურები, კეთილი განწყობით, ოღონდ ძალიან სერიოზულები. ჩვენთვის ემოციურად ძალიან რთულია დღევანდელი დღე. ვგრძნობთ, რამხელა პასუხისმგებლობაა ჩვენს ოჯახზე, – განაცხადა ინა გუდავაძემ.

ინა გუდავაძეს ჟურნალისტებმა დაუსვეს კითხვა საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

– ის ხალხი, ვინც გრძნობს, რომ არ იქცეოდა სწორად რაღაც გაგებით, ალბათ თვითონ მიხვდება ყველაფერს, – აღნიშნა გუდავაძემ.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ ხელმძღვანელ გიორგი არველაძეს შეხვდნენ. თუმცა, საუბრის დეტალები პრესისთვის ცნობილი არ არის. ეს კომპანია ჯერ ისევ ფლობს „იმედის“ 100%-იან წილს.

ბადრი პატარკაციშვილის და მზია თოთლაძე აცხადებს, რომ მათ დაბალანსებული ტელევიზია სურთ.

– ჩვენ ვართ ოჯახი, რომელსაც დაბალანსებული და ობიექტური ტელევიზია უნდა, – ამის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის დამ, მზია თოთლაძემ „იმედში“ გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, ტელევიზიაში საკადრო პოლიტიკა აუცილებლად შეიცვლება.

– ჩვენ არ ვდგავართ არავის წინ და არავის უკან, ჩვენ ვართ ოჯახი, რომელსაც დაბალანსებული და ობიექტური ტელევიზია უნდა, როგორც ბადრის დროს იყო, – განაცხადა მზია თოთლაძემ. მისივე თქმით, დღევანდელი დღე მათთვის არის ემოციური, ისინი ნერვიულობენ და აქედან გამომდინარე დეტალებზე ჯერჯერობით ვერ ისაუბრებენ.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადებაში ნათქვამია, რომ „იმედის“ ამჟამინდელ მფლობელებსა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის ტელეკომპანიის გადაცემის საკითხზე შეთანხმება შედგა.

„იმედის“ ოჯახისთვის გადმოცემის პროცესი დაიწყო და ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ „იმედი“ იყოს მაღალპროფესიული და ობიექტური ტელეკომპანია“, – ნათქვამია პატარკაციშვილის ოჯახის წევრების განცხადებაში.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები ტელეკომპანია „იმედში“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკვე იმყოფებოდნენ. ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარებით შემოიფარგლნენ ოჯახის წევრები, რადგან მათ განაცხადეს, რომ ისინი ემოციურად დატვირთულები არიან და მათთვის მძიმე დღეა.

ტელევიზიაში იმყოფებოდნენ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე, მისი ქალიშვილები და ასევე პატარკაციშვილის დები. ოჯახის წევრებს აგრეთვე ახლდა ფინანსური დირექტორი დათო შონია, რომელიც ტელეკომპანიის გადაბარების პროცესში მიიღებს მონაწილეობას.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს, არსებული ინფორმაციით, გიორგი არველაძე ტელეკომპანიის ეზოში დახვდა და მოგვიანებით მათ შორის მოლაპარაკება შედგა.

მოლაპარაკებიდან გამოსულმა ბადრი პატარკაციშვილის დამ მზია თოთლაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საკადრო პოლიტიკა აუცილებლად შეიცვლება.

– ტელეკომპანია „იმედში“ აუცილებლად შეიცვლება საკადრო პოლიტიკა და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება.

მისივე თქმით, „იმედი“ იქნება ისეთივე, როგორიც იყო ადრე.

– ყველაფერი შეიცვლება და უფრო დეტალურად გამოსვლის შემდეგ მოგცემთ კომენტარებს. საკადრო პოლიტიკა აუცილებლად შეიცვლება და ყველაფერი დაუბრუნდება თავის ადგილს, როგორიც იყო „იმედი“ თავის დროზე, – ამბობს თოთლაძე.

მზია თოთლაძემ ასევე საქართველოს მიუღოცა „პირველ რიგში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, მეორე რიგში კი „იმედის“ დაბრუნება“.

ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის დის ნანა პატარკაციშვილის განცხადებით კი:

– თუ ვინმე გრძნობს, რომ ტელეკომპანია „იმედში“ მათი მოსვლის შემდეგ აღარ უნდა დარჩეს, თავად უნდა წავიდეს, ვიდრე გაუშვებენ, – განაცხადა ნანა პატარკაციშვილმა.

ეს განცხადება ნანა პატარკაციშვილმა ჟურნალისტებთან ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილ გენერალურ დირექტორ გიორგი არველაძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა

– ჩვენ რევანშისთვის არ მოვსულვართ, თუ ვინმე გრძნობს, რომ ტელევიზიაში არ უნდა დარჩეს, ის თავად უნდა წავიდეს, ვიდრე ჩვენ გავუშვებთ. რაც შეეხება ტელევიზიის მომავალი ხელმძღვანელის კანდიდატურას, ჯერჯერობით შერჩეული არ გვყავს, თუმცა გპირდებით, რომ ის იქნება ობიექტური და არა რომელიმე პოლიტიკური მხარის წარმომადგენელი, – განაცხადა პატარკაციშვილმა.

მზია თოთლაძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ „იმედის“ დაბრუნება მოხდა შეთანხმების საფუძველზე.

ტელერადიო კომპანია „იმედის“ 100 %-იანი წილის მფლობელად ამ დროისთვის კვლავ შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ითვლება. კომპანია 2008 წლის 17 დეკემბერს არის დარეგისტრირებული და მისი ერთპიროვნული ხელმძღვანელი გიორგი არველაძეა.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, თავად „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ ორი აქციონერი ჰყავს: გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეი,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

არჩილ კბილაშვილი: „სასამართლო აღარ იქნება პროკურატურის დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი“

თამარ ნინიძე

„ქართული ოცნების“ მიერ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ადვოკატი არჩილ კბილაშვილია წარდგენილი. „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაზე არჩილ კბილაშვილმა პროკურატურაში ინსტიტუციონალური როლის შეცვლაზე ისაუბრა. აქამდე მთავარი პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე უწყება იყო, იუსტიციის მინისტრი ნიშნავდა როგორც მთავარ პროკურორს, ისე მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს. კბილაშვილის აზრით დაუშვებელია პროკურატურა პოლიტიზებული უწყება იყოს, თავად იუსტიციის მინისტრის პოსტი უკვე ისედაც პოლიტიკურია, ის ექვემდებარება პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს.

„როცა ვამბობთ, რომ უნდა გავზარდოთ პროკურატურის როლი, ვგულისხმობთ იმას, რომ მთავარი პროკურატურა გენერალურ პროკურატურად გარდაიქმნება, გენპროკურორს წარადგენს პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი და დაამტკიცებს პარლამენტი. გენპროკურორის გადაყენება ხდება იმპიჩმენტის პროცედურით, თუ საკანონმდებლო ირგანოში შევა დასაბუთებული დოკუმენტაცია გენპროკურორის მიერ სერიოზული დარღვევების შესახებ. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ გენპროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული სხვა პროკურორებიც უნდა დაინიშნონ ხუთი წლის ვადით“, – განმარტავს არჩილ კბილაშვილი.

საკადრო საკითხს რაც შეეხება, გენპროკურორობის კანდიდატის თქმით, ის გეგმავს ყველა მოადგილის, დეპარტამენტების და სამმართველოების პროკურორების შეცვლას, ქვედა რგოლების პროკურორები დარჩებიან თანამდებობებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ დარღვევები არ დაუდასტურდებათ. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი დღემდე აქვს მთელ რიგ საქმეებს, მაგალითად, ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეებს, ამიტომ კბილაშვილი აცხადებს, რომ საზოგადოებას გააჩნია ეჭვები ამ საქმეების არაობიექტური გამოძიების შესახებ, გირგვლიანის საქმე კი საერთოდ სტრასბურგის სასამართლოში იქნა შესწავლილი და ევროპის სასამართლოს რეკომენდაციით, ეს საქმე თავიდან უნდა იქნეს გამოძიებული.

„არ ვიცი, რა შედეგით დასრულდება ეს საქმეები, მაგრამ გპირდებით, რომ ეს საქმეები ისე იქნება გამოძიებული, რომ დაღუპულთა ოჯახებს დამატებითი შეკითხვები აღარ გაუჩნდებათ“ – აცხადებს კბილაშვილი.

აქამდე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი იყო ძალადობისა და ღირსების აყრის ინსტიტუტი, ახლა კი საპროცესო შეთანხმების უკან იდგება სასამართლო. ეჭვმიტანილს მოუწევს ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე თავისი უდანაშაულობის დამტკიცება და იძულებით აღარ მოუწევს საპროცესო შეთანხმებაზე ხელისმოწერა.

„პრაიმტაიმის“ ჟურნალისტებმა როგორც მოსალოდნელი იყო კბილაშვილს დაუსვეს შეკითხვა, რა იყო დადებითი მთავარი პროკურატურის საქმიანობაში ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში? კბილაშვილის პასუხი გულწრფელი იყო, მან თქვა, რომ დადებითი იყო ჰორიზონტალური კორუფციის აღმოფხვრა უწყებაში და რომ ბრალდებულს არ უწევდა დაბალი რგოლის პროკურორისთვის ქრთამის მიცემა, აქვე დადებითი იყო ისიც, რომ პროკურორების სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდა და მათ მაღალი ხელფასები აქვთ, კბილაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ორი კრიტერიუმით იქნებიან დანიშნულები პროკურორები – პატიოსნებით და პროფესიონალიზმით.

სასამართლო აღარ იქნება პროკურატურის დირექტივების უსიტყვო შემსრულებელი, ადრე სასამართლოს 99,96% გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდა, ამჯერად პროკურატურა და დაცვა ერთ სასტარტო პირობებში იქნებიან, მეტიც, დაცვას მეტი უპირატესობა ექნება იმიტომ, რომ ის შეეცდება დაცვის ქვეშ მყოფი პირის უდანაშაულობის დამტკიცებას. სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის შეკრებითობის პრინციპიც უნდა შეიცვალოს, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის კოდექსში ბევრი ცვლილება შევა. კბილაშვილის ინფორმაციით გენპროკურატურაში შეიქმნება დეპარტამენტი, რომელიც შეისწავლის მთავარი პროკურატურის მიერ უკანონოდ გამოტანილ განაჩენებს, უნდა შეიქმნას დაზარალებულ პირთა უფლებების რეაბილიტაციის ნოვაცია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი წარადგინა



პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის წარდგენის შესახებ შესაბამისი განკარგულება გამოსცა.

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება ჟურნალისტებს გუშინ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააცნო.

„საქართველოში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, ზედმიწევნით უნდა დავიცვათ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ის პროცედურები, რომლებიც პარლამენტის ფუნქციონირებასა და მთავრობის ფორმირებას ემსახურება. კონსტიტუციის 80-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, პრემიერ-მინისტრად შერჩეულია 1 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი“ – განაცხადა მანჯგალაძემ.

მისი თქმით, კონსტიტუციის ამავე მუხლის თანახმად, შერჩეულ კანდიდატს 10 დღიანი ვადა აქვს, რათა ახლადარჩეულ პარლამენტში ნდობის მოსაპოვებლად მინისტრების სრული შემადგენლობა წარადგინოს

ნიუსპრესი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების ხელფასები გაიზარდა.

როგორც უწყების პრესსამსახური იუწყება, აღნიშნულ ბრძანებას წინ უძღოდა საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლითაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოთა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოები ხელახლა განსაზღვრის უფლება მიეცა.

„მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება საშუალებას მისცემს სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელობას, შეარჩიოს კვალიფიციური კადრები, რომელთაც ექნებათ სათანადო ხელფასი და სხვა სოციალური გარანტიები“-ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ამასთან, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ტუღუშს აუცილებლობად მიაჩნია სისტემაში მომსახურე ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობების გადახედვა, ასევე, ჯანდაცვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების მკვეთრი ზრდა.

უწყება იმედოვნებს, რომ ახალი მინისტრი ამ მიზნისთვის სათანადო რესურსების მოსაძიებლად მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს

ნიუსპრესი

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის აღდგენა აუცილებელია“



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიზანი რუსეთისგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოცილებაა.

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამის ძირითადი მიმართულებები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის აღდგენას ითვალისწინებს, რადგან მისი თქმით, საქართველოს წინა ხელისუფლებამ აღნიშნული რეგიონები რუსეთს სრულად ჩააბარა.

მისივე თქმით, ის ფაქტი, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სრულად აკონტროლებს ახალი მთავრობისთვის მიუღებელია.

„ჩვენი მიზანია გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რაც რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შედარებით ჩამოაცილებს. როგორ მოხდება ეს, ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია. პოზიციები უნდა შეჯერდეს სხვადასხვა უწყებებთან და სამინისტროებთან“ – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ როგორმე უნდა მოახერხოს და აფხაზებისა და ოსებისთვის უფრო სანდო სახელმწიფო გახდეს, ვიდრე ეს რუსეთია.

როგორც ზაქარეიშვილმა აღნიშნა, აფხაზებსა და ოსებს არ გააჩნიათ პერსპექტივა გარდა იმისა, რომ იყვნენ საქართველოსთან ან რუსეთთან.

ზაქარეიშვილის თქმით, მათი საქართველოსკენ შემობრუნება შესაძლებელია მაშინ, თუ საქართველო უკეთესი სახელმწიფო იქნება, ასევე, დაცული იქნება ადამიანის უფლებები, თავისუფალი სასამართლო და სამართლიანობა.

„დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა, მაგრამ არა გამოუვალი. აფხაზებისა და ოსების ჩვენსკენ შემოტრიალების შესაძლებლობა გვექნება თუ ქვეყანას ფეხზე დავაყენებთ“ – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მან რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზეც გააგებინა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთავრობა კატეგორიულად გამორიცხავს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, ვიდრე საქართველოს ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებული იქნება.

მისივე თქმით, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა საკითხების მოგვარება დიპლომარიული ურთიერთობების გარეშეც შესაძლებელია.

ნიუსპრესი

ყინწვისის მონასტერში დაკავებულები შველას ითხოვენ

თათია გელაშვილი: „მამას იმ დანაშაულს აბრალებენ, რაც არ ჩაუდენია“

შორენა კოწოწაშვილი

ხელისუფლების ცვლილების პარალელურად საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვნად აღიქმება ის პროცესი, რასაც სამართლიანი სამართლებრივი რეფორმის განხორციელება ჰქვია და რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერმა და პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა იუსტიციის მინისტრობის კანდიდატ თეა წულუკიანს ჩააბარა.

ბიძინა ივანიშვილის ეს საკადრო გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, საზოგადოების ყველა ფენის მხრიდან დადებითად შეფასდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წულუკიანის პროფესიონალიზმსა და ობიექტურობაში ეჭვი არავის ეპარება.

თავად იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა ღიად განაცხადა, რომ სასამართლო პოლიტიკური ინტერესების გატარებისგან თავისუფალი იქნება და ყველა განაჩენი კანონისა და ობიექტურობის დაცვით იქნება გამოტანილი. რაც შეეხება სტრასბურგში გასაჩივრებულ ასობით საქმეს, იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი ფიქრობს, რომ ბევრი ამ საქმეებიდან საქართველოში უნდა იქნეს გადმოტანილი დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში და ეროვნულ სასამართლოში დადგეს ობიექტური განაჩენები.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, საკმაოდ აქტიურად დადგა პოლიტპატიმართა და უკანონოდ დაპატიმრებულთა საკითხი. პატიმართა ახლობლებს და თავად მსჯავრდებულებსაც იმედი მიეცათ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება უკანონოდ დაპატიმრებულთა საქმეებს გადახედავს და სამართლიანი სასამართლო მათ მიმართ გამამართლებელ განაჩენებს გამოიტანს.

გამართლებისა და შემდგომ რეაბილიტაციის მოლოდინში არიან ე.წ. ყინწვისის მონასტერში დაპატიმრებული ის 24 მსჯავრდებულიც, რომელიც ადეიშვილის უწყებამ უმძიმესი მუხლით – სამშობლოს ღალატის ბრალდებით გამოამწყვდია ციხეში.

სწორედ ე.წ. ყინწვისის საქმის ერთერთი მონაწილეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ზურაბ გელაშვილი, რომელიც სხვა პირებთან ერთად სპეცნაზმა 2011 წლის 26 მაისს აიყვანა ყინწვისის მონასტერში და ქარელის პოლიციაში გადაიყვანა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე ზურაბ გელაშვილი, თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ოფიციალური წერილის თანახმად, ხასიათდება, როგორც დისციპლინებული და სამაგალითო სამხედრო, ყოველთვის ცდილობდა ცოდნის დონის ამაღლებას, მეთაურის ბრძანებებს ასრულებდა სწრაფად და ხარისხიანად. პირად შემადგენლობასთან სარგებლობდა ძალიან კარგი ავტორიტეტით. რაც მთავარია, მეთაური ზურაბ გელაშვილს ახასიათებს, როგორც კეთილსინდისიერ, ერთგულ და საიმედო სამხედრო მოსამსახურეს.

ზემოაღნიშნული დადებითი დახასიათებისა და საკმაოდ კარგი იმიჯის მქონე სამხედრო და „ეროვნული ფორუმის“ წევრი ზურაბ გელაშვილი დღეს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით იხდის სასჯელს და აფხაზეთისა და სხვა საომარ ოპერაციებში, მათ შორის ერაყშიც, მიღებული ჯილდოების პატრონს, მძიმე ტვირთად აწევს ბრალდება – სამშობლოს მოღალატის სტატუსი.

ზურა გელაშვილის ქალიშვილი თათია გელაშვილი იმ ზეწოლასა და მძიმე პერიოდზე საუბრობს, რომელიც მამის დაპატიმრების შემდგომ მისმა ოჯახმა გადაიტანა. თათია გელაშვილის თქმით, მუქარები განხორციელდა როგორც მასზე, ისე დედაზე – მაია ტუღუშზე, რომელიც დღეს საზღვარგარეთ იმყოფება და იქედან არჩენს 23 წლის ქალიშვილის და 12 წლის ვაჟს, თუმცა მუდმივად არ არის დასაქმებული და ოჯახმა დასახმარებლად ფონდ „ქომაგასაც“ მიმართა. თათია გელაშვილი ამბობს, რომ ფონდმა გარკვეული თანხა, არც ისე სოლიდური, გამოყო პოლიტპატიმარ ზურაბ გელაშვილის ოჯახის დასახმარებლად, თუმცა მოგელაძის სამსახურმა მაშინვე ყადაღა დაადო ანგარიშს და ეს თანხა – 300 ევრო გელაშვილის ოჯახს დღემდე არ აუღია.

თათია გელაშვილის თქმით, პროკურატურის მხრიდან მუქარა ხორციელდებოდა იმის გამო, რომ ზურაბ გელაშვილის სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არ გასაჩივრებულიყო. ანუ გელაშვილს და მის ოჯახს უარი ეთქვა უდანაშაულობის დამტკიცებასა და საკუთარი უფლებების დაცვაზე.

– მამა ყინწვისის მონასტერში შეუფერებელ დროს აღმოჩნდა. მონასტერში მეგობრს გაყვა, რომელსაც მანქანა სჭირდებოდა მრევლის წასაყვანად. მამის დაჭერის შემდეგ ჩემი ოჯახის მიმართ გაძლიერდა როგორც ეკონომიკური, ისე ფსიქოლოგიური ზეწოლა. ოჯახმა გადაწყვიტეთ, რომ არსებული სისხლის სამართლის საქმე სტრასბურგში წაგვეღო, რასაც მოჰყვა სერიოზული მუქარა, რომლის შემდგომაც სტრასბურგში საქმის გასაჩივრებაზე თავი შევიკავეთ. ჩემი ოჯახი მცირე მეწარმეობას ეწეოდა და ამით ვირჩენდით თავს. ყველა ბიზნესი დაგვახურინეს, რის გამოც ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დედას იძულებით მოუწია ქვეყნის დატოვება, მე კი ყველაფერს ვაკეთებდი ამ ხნის მანძილზე მამის უდანაშაულობის დასამტკიცებლად. იმედი მხოლოდ ახლა, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ მომეცა. იმედი მაქვს, პოლიტპატიმარი ზურაბ გელაშვილი გამართლდება ახალი ხელისუფლების პირობებში და სამართლიანი სასამართლოს პირობებში მოეხსნება მას სამშობლოს მოღალატის იარლიყი, რასაც საქართველოს ერთიანობისთვის და ქვეყნის ინტერესებისთვის არაერთ ბრძოლაში მყოფი მამაჩემი, ძალიან მტკივნეულად განიცდის. მინდა იცოდეთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ჩემმა ოჯახმა ძალიან ბევრი გააკეთა და უკან არასდროს დაუხევია. ოჯახიდან სამი ადამიანი იყო ყველა ბრძოლის დროს, აგვისტოს ომის ჩათვლით. ძალიან მტკივა გული, როცა მამას იმ დანაშაულს აბრალებენ, რაც არ ჩაუდენია. ამხელა ნერვიულობის გამო დედას, რომელიც ევროპაშია, ინფარქტის ნიშნები აქვს და მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ამ ხელისუფლებამ ოჯახი დამიშალა. მამა, რომელიც სამშობლოს ერთიანობისთვის იბრძოდა და სისხლს ღვრიდა, იმედით შეყურებს ამ ხელისუფლებას და ფიქრობს, რომ უდანაშაულო ადამიანები ციხეში აღარ დარჩებიან. მამის დაპატიმრების შემდგომ ბანკში კრედიტები ვერ დავფარეთ და შეიძლება უბინაოდაც დავრჩეთ. თუმცა დღეს ეს უფრო ნაკლებად მადარდებს და ბოლომდე ვიბრძოლებ 23 წლის გოგო იმისათვის, რომ უდანაშაულო და უკანონოდ დაპატიმრებული მამა ციხიდან გავათავისუფლო და სისხლის სამართლის წესით აგონ პასუხი იმ გამომძიებლებმა, დავით ხიზანაიძემ და პროკოფი ჭანკვეტაძემ, რომლებმაც მამაჩემზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს, – განაცხადა ჩვენთან საუბარში თათია გელაშვილმა.

უფრო კონკრეტულად ყინწვისის საქმესა და მსჯავრდებულ ზურაბ გელაშვილზე თავად საქმის მასალებიდან იკვეთება. გელაშვილი, ისევე, როგორც დანარჩენი 23 პირი, 2011 წლის 26 მაისს დააკავეს, თუმცა პროკურატურისა და პოლიტიკური ინტერესების გამო, მათი დაპატიმრება 27 მაისით დათარიღდა, რაც თავის მხრივ უკანონოა. ეს უკანონობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ არევაძემაც გაიზიარა, უფრო სწორად, დააკანონა იმ მარტივი ქმედებით, რომ მტკიცებულებად არ მიიღო სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაცემული ოფიციალური წერილი, სადაც მითითებულია, რომ ზურაბ გელაშვილი სწორედ 26 მაისს დააპატიმრეს და ომბუდსმენ გიორგი ტუღუშთან მისული იყო გელაშვილის მეუღლე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ზურაბ გელაშვილის სისხლის სამართლის საქმეში 2011 წლის 22 ივნისით დათარიღებული გამოკითხვის ოქმია, რომელიც ადვოკატმა ჯუმბერ მილორავამ შეადგინა. როგორც თათია გელაშვილი ამბობს, პოლიციაში როცა მამას ადვოკატი მილორავა ჰკითხავდა და ეს ოქმი შეადგინა, მას დაკითხვის ოთახში შეუვარდნენ გამომძიებლები დავით ხიზანაიძე და პროკოფი ჭანკვეტაძე და ბრალდებულზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს. თათია გელაშვილი ამბობს, რომ ადვოკატმა ძლივს გადაარჩინა აღნიშნული დაკითხვის ოქმი, რომლის საქმეში ჩადებაც გამომძიებლებს არ აწყობდათ.

– 26 მაისს დილით ამოვიდნენ სპეცდანიშნულების რაზმის ნიღბიანი წევრები და დაგვაკავეს. შემდგომ დაკავების დროს მათ მიმართ არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია, რადგან ვიყავი გაოგნებული და არ ვიცოდი, რა ხდებოდა. შემდეგ მე და ჩემთვის უცნობი დანარჩენი პირები გადაგვანაწილეს მანქანებში და წამოგვიყვანეს ქარელში პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, სადაც სათითაოდ შევყავდით და გვცემდნენ, თან გვიყვიროდნენ, რომ ვიყავით მოღალატეები. იმავე დღეს, სადღაც 2 საათში, ჩამოგვიყვანეს თბილისში ქალაქის პოლიციის სამმართველოში. იქ აგვიყვანეს მე-7 სართულზე და დაგვიწყეს დაკითხვა, სადაც ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. როდესაც მიიღეს მათთვის დამაკმაყოფილებელი ჩვენებები და ვითხოვდი ადვოკატის დასწრებას, უარი მივიღე. მე თავს უდანაშაულოდ ვთვლი, რადგან არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია, – წერს ზურაბ გელაშვილი გამოკითხვის ოქმში.

აღსანიშნავია, რომ გელაშვილზე განხორციელებულმა ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ გარკვეული შედეგი გამოიღო. პროკურატურამ მუქარის ფონზე მიიღო მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმება, რომლითაც ზურაბ გელაშვილს შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 9 წლით პირობითი მსჯავრი დაეკისრა. თათია გელაშვილის თქმით, ამით გაიმყარეს მტკიცებულებები, რადგან სხვა მტკიცებულება არ ჰქონდა გამოძიებას. გამომძიებლებმა უთხრეს, ხელისუფლება ძალიან კარგ პირობას გთავაზობს და უნდა მიიღოო.

აღსანიშნავია, რომ პარასკევს ყინწვისის საქმეზე დაპატიმრებულთა ახლობლები და ოჯახის წევრები გლდანის ციხესთან საპროტესტო აქციას გამართავენ და უდანაშაულო პატიმრების, იგივე პოლიტიკური ნიშნით დაკავებული 24 მსჯავრდებულის გამართლებას და გათავისუფლებას მოითხოვენ.

დევნილები პროფესიული კოლეჯის შენობაში შეიჭრნენ

თბილისში, აფრიკის დასახლებაში, დევნილთა 30-მდე ოჯახი პროფესიული კოლეჯის შენობაში შეიჭრა.

დევნილები სახელმწიფოს საცხოვრებელი ფართის გამოყოფას სთხოვენ.

„20 წელია, მაღაზიის შენობაში ვცხოვრობ და ყურადღებას არავის მოუქცევია. ვართ უმძიმეს მდგომარეობაში, არაფრით არ გვეხმარებიან. დაპირებები არის, ასრულება კი – არა“, – აღნიშნა დევნილმა ილონა ბებიამ.

დევნილების განცხადებით, პროფესიული კოლეჯის შენობას მანამ არ დატოვებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

მედიანიუსი

ნანა კაკაბაძე: „სააკაშვილის ხელისუფლება უკვე წარსულს ჩაბარდა“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძესთან

— ქალბატონო ნანა, ტელეკომპანია „იმედი“ თავის ძველ მფლობელს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა. რატომ დათმო ასე მარტივად ხელისუფლებამ „იმედი“, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს?

— მე ვფიქრობ, ის, რაც მოხდა, არის პირველი ნიშანი იმისა, რომ საქართველოში მართლაც დაიწყო სამართლიანობის აღდგენა. ალბათ ყველა ქართველის და ყველა ადამიანის სურვილი იყო ის, რომ ტელეკომპანია იმედი უნდა დაბრუნებოდა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომლითაც ჩვენ დავინახეთ, რომ ამ ქვეყანაში დაიწყო სამართლიანობის აღდგენა. გარდა იმისა, რომ იმედი დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს, ეს პროცესი არის იმედის მომცემი, რომ ამ ქვეყანაში, ყველაფერი, რაც კი ამ ხელისუფლების მიერ იყო უკანონოდ წართმეული და ჩამორთმეული, დაუბრუნდება მის კანონიერ მფლობელს. იმედის მომცემია, რომ სწორედ „იმედის“ დაბრუნებით დაიწყო სამართლიანობის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში.

— რამდენად დადგება სხვა ტელეკომპანიების გადაცემის საკითხი, იგივე „მზის“ და „რუსთავი ორის“?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხებიც აუცილებლად წამოიწევს და დადგება აუცილებლად, იმიტომ რომ მედიის დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება და საერთოდ საკუთრების ხელყოფა, ეს არის ის თემა, რომელიც უნდა ჩაბარდეს იმ ხელისუფლებასთან ერთად წარსულს, რომელიც მალე წარსულში დარჩება. ეს თავნებობა, ეს ძალადობაც უნდა ჩაბარდეს წარსულს და უნდა დაიწყოს სამართლიანობის დამკვიდრება და თუ ეს პროცესები ასე წავა, სწორედ მაშინ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობა დაბრუნდა.

— რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, დღეს ამაზე ნაკლებად საუბრობენ, როგორ ფიქრობთ დადგება დამნაშავე ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი?

— სამართლიანობა თავისთავად მოითხოვს დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას და სამართლიანობა არ შეიძლება იყოს ფასადური, ეს უნდა იყოს რეალური და დარწმუნებული ვარ, რომ იქნება რეალური. ფასადური შეიძლება იყოს ყველაფერი, ხოლო სამართლიანობა ფასადური ვერ იქნება. სამართლიანობა კი მოითხოვს იმას, რომ ყველა დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ეს მოჰყვება იმ პროცესს, რასაც ჰქვია დამოუკიდებელი სასამართლო. როცა დაბრუნდება დამოუკიდებელი სასამართლო, აუცილებლად დადგება თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ ჯერჯერობით, რაც ძველი გადმონაშთით ამ ქვეყანაში არის, ეტყობა ეს პოლიტიკურ კონიუნქტურას სჭირდება და გაიჟღერებს ხოლმე ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან ყალბი და არასწორი ინტერპრეტაციები და შეფასებები, მაგალითად, იგივე არჩევნების მისამართით. დღევანდელი ქართული ოცნების მომხრეები ფიქრობენ, რომ იმიტომ, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლა ჩაითვალოს ლეგიტიმურად, უნდა ითქვას, რომ ეს არჩევნები იყო დემოკრატიული. ხოლო სააკაშვილის ხელისუფლების მომხრეები ფიქრობენ, იმისათვის, რომ სააკაშვილმა ჩამოირეცხოს თავისი შავი ლაქები და ის ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც ის ამყარებდა, საჭიროა ითქვას, რომ ხო, ეს იყო დემოკრატიული არჩევნები. ეს არის ტყუილი და ტყუილი ვერც ერთ მხარეს და ვერც მეორე მხარეს ვერაფერში ვერ წაადგება. ჩვენ გვაინტერესებს სიმართლე. ამ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები არ ჩატარებულა, ის, რაც მოხდა, ეს იყო ქართველი ხალხის გამარჯვება. ეს იყო არჩევნებზე კიდევ უფრო მეტი, რაც მოხდა ამ ქვეყანაში. ქართველმა ხალხმა იმდენად იმძლავრა და იხუვლა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო დ ავერ წავიდა მთელი საქართველოს წინააღმდეგ და ცნო ის რეალობა, რაც იყო. ისევე, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს მოხდა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, კომპარტია გახდა იძულებული, რომ მას უარი ეთქვა ძალაუფლებაზე და ზუსტად ასე ნაციონალური მოძრაობა გახდა იძულებული, მას უარი ეთქვა ძალადობაზე და ძალაუფლებაზე. ეს არ არის დემოკრატიული არჩევნების შედეგი, ეს მოიტანა დრომ და ეს მოიტანა ქართველმა ხალხმა. არავითარი ტყუილი ამ დროს საჭირო არ არის. უნდა ითქვას სიმართლე და ეს სიმართლე არის ის, რომ პირველ ოქტომბერს გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა და გადარჩა საქართველო. ეს არაფერ კავშირში არ არის დერმოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან. ეს არჩევნები იყო საშინლად გაყალბებული, უამრავი ხმა, რისი მიტაცებაც შეძლო ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მიიტაცა. ის მზად იყო, ბოლომდე მიეტაცებინა ძალაუფლება, უბრალოდ ამისი ძალა არ ეყო. ეს სიმართლეც აუცილებლად უნდა ითქვას და როდესაც სასამართლო აღდგება და იქნება თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი სასამართლო ამ არჩევნებსაც ასევე შეაფასებს და ყველა ის პირი, რომელმაც ქართველ ხალხს წაართვა არჩევნის უფლება და გააყალბა არჩევნები, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ადამიანებიც წარდგებიან სამართლიანი სასამართლოს წინაშე.

— თქვენი აზრით, როგორი იყო აქ დასავლეთის როლი, რადგან საუბარია, რომ მისი ჩარევის გარეშე მეტ ძალადობას ექნებოდა ადგილი...

— დასავლეთის როლი ბევრ შემთხვევაში იყო დადებითი და ბევრ შემთხვევაში იყო იძულებითი. უბრალოდ, დასავლეთი დადგა ფაქტის წინაშე და მას მოუწია აღიარება იმ რეალობისა, რის წინაშეც ქართველმა ხალხმა და ქართველმა საზოგადოებამ დააყენა დასავლეთი. თუმცა არც ცალსახად ყოფილა და დასავლეთმაც დიდი და კარგი როლი შეასრულა. ორივე თანხვედრაში იყო, ერთი მხრივ იყო ის, რომ ქართველმა ხალხმა იბრძოლა ქვეყნის და თავისი ღირსების გადასარჩენად და მეორეც, დასავლეთმაც აღიარა, დაინახა ქართველი ხალხის ბრძოლა და ის დადგა ქართველი ხალხის გვერდით.

— ბიძინა ივანიშვილს ასევე საქართველოს მოქალაქეობაც დაუბრუნეს... სააკაშვილი მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ აქვს, თუ ცდილობს დემოკრატის იმიჯი მოირგოს?

— ფაქტია, რომ ეს არ იყო მისი ნებით გადადგმული ნაბიჯი, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ეს არ არის რაღაცა გარიგებისა და შეთანხმების საგანი. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი არის იძულებული აღიაროს რეალობა და თვალი გაუსწოროს ამ რეალობას. როდესაც ჩვენ სამართლიან სასამართლოზე ვსაუბრობთ, ეს სამართლიანი სასამართლო, მაინც დაუბრუნებდა ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას, პარლამენტიც იზრუნებდა ამაზე. ამიტომ სააკაშვილს ერჩია ეს გაეკეთებინა თავისი ხელით, ვიდრე ამას გააკეთებდა ძალიან უახლოეს მომავალში ქართველი ხალხი და ქართული სასამართლო.

— თქვენ გარიგება ახსენეთ, სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილის დემოკრატობანა გამოწვეულია იმით, რომ მან ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო...

— მე ერთადერთი, რისიც მჯერა დღეს, მჯერა ბიძინა ივანიშვილის დაპირებების, იმიტომ, რომ ეს ადამიანი რასაც შეპპირდა ქართველ ხალხს, ფაქტიურად მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ის ამას ასრულებდა. ის შეპპირდა ქართველ ხალხს სამართლიან სასამართლოს და შეპპირდა, რომ ამ ქვეყანაში არ იქნებოდა პოლიტიკური რეპრესიები, მაგრამ ყველა სისხლის სამართლის დამნაშავე აგებდა პასუხს. მე იმედი მაქვს, რომ ამ დანაპირებსაც ისევე აასრულებს, როგორც დანარჩენი დანაპირები შეასრულა მან. ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დაპირება ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ღირსებისთვის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ესეც შესრულდება.

— ასევე საუბარია იმაზეც, რომ სააკაშვილის გუნდი ემზადება რევანშისთვის და ამ დემოკრატობანას თამაშით აბნევს საზოგადოებას და ახალ ხელისუფლებასაც. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?

— რასაკვირველია, ძალა თუ ეყოფა ყოფილ ხელისუფლებას ისინი წავლენ რევანშზე, მაგრამ მე მგონია, რომ ისინი უკვე არიან გუშინდელი დღე პოლიტიკაში და ისინი ვერანაირ რევანშს ვერ შეძლებენ, იმიტომ, რომ მათ არანაირი დასაყრდენი ხალხში არა აქვთ. დარწმუნებული ვარ, ერთი მუჭა კრიმინალები ქვეყანაში ვერაფერს და ვერანაირ რევანშს ვერ შეძლებენ. ამ მხრივაც მე მგონია, რომ მშვიდად უნდა ვიყოთ, რომ ეს არის მხოლოდ მათი სურვილი, მათი ოცნება, რომელიც მათ არასოდეს არ აუსრულდებათ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ქვეყანაში კრიზისის შექმნას ვერ შეძლებენ?

— მცირე გამოხტომებს რა თქმა უნდა, შეძლებენ, მაგრამ ეს არ იქნება ისეთი ფართო მასშტაბის, რომელიც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას.

— ქალბატონო ნანა, რა ხდება დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რა მდგომარეობაა?

— სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი უკვე იდეალურად არის. იქ რაღაც ცვლილებები ნამდვილად იგრძნეს, რაღაეები შეიცვალა. შეიცვალა ის, რომ ასეთი ცემა და წამება აღარ ხდება ციხეებში, პატიმრებს ასე აღარ აწამებენ, როგორც ეს ხდებოდა მანამადე. მაგრამ იქ უამრავი პრობლემაა იგივე მკურნალობის და ასე შემდეგ. იმიტომ, რომ წინა ხელისუფლება არ იყო ორიენტირებული იმაზე, რომ ადამიანები ჰყავს ციხეში და ვალდებულია მათ მოექცეს ადამიანურად, მათ ჰქონდეთ მკურნალობის საშუალება. ამას ის ხელისუფლება არ აცნობიერებდა, ამიტომ ამ მიმართულებით იქ ძალიან მძიმე სურათია. ავადმყოფთა აბსოლუტური უმრავლესობა არის ბედის ანაბარა მიტოვებული, იქ ვერანაირი სამედიცინო დახმარება ვერ ხდება. შეიძლება მათ წინააღმდეგ ცოცხებს აღარავინ ხმარობს, მაგრამ იქ მედიკამენტები ან აბსოუტურად უარგისია და არაფერზე არ მოქმედებს და როგორც ტუბერკულოზიანები ამბობენ, ის წამლები, რასაც მათ ასმევენ, არათუ უუმჯობესებს მდგომარეობას, არამედ უუარესებს. ასე რომ, პრობლემები იქ არის ძალიან სერიოზული და ფუნდამენტური. ეს პრობლემები სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი და რა თქმა უნდა, ახალი მინისტრი, რომელიც მოვა სასჯელაღსრულებაში მას ეს პრობლემები დახვდება მოსაგვარებლად. მე ვფიქრობ, რომ მზაობა იმისა არის, რომ სიტუაცია გამოსწორდეს და ალბათ გამოსწორდება..

ბედუკაძემ იმ პირის ვინაობა დაასახელა, რომელსაც სკანდალური მასალა გასავრცელებლად გადასცა

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის ავტორმა, ვლადიმერ ბედუკაძემ ტელეკომპანია „მაესტროსთან“ იმ პირის ვინაობა დაასახელა, რომელსაც სკანდალური მასალა გასავრცელებლად გადასცა.

როგორც ბედუკაძე აცხადებს, ის არის მისი მეგობარი გიორგი ლომია. ბედუკაძე ლომიას მოუწოდებს, ეყოს გამბედაობა და განაცხადოს, რა მიზნით გადაეცა მას პატიმრების წამების ამსახველი მასალა.

„ეყოს გამბედაობა და თქვას, რა მიზნით ვთხოვე მას დახმარება ამ მასალის სააშკარაოზე გამოსატანად. მსოფლიოსთვის უნდა მეჩვენებინა სააკაშვილის რეჟიმის ნამდვილი სახე. ეყოს გამბედაობა და თქვას, რა მიზნებით ჩავაბარე ჩემი მეგობრები, ფარულავა და აკობია, რომლებიც უნდა გამოსულიყვნენ და ჩემთან ერთად საქმეში უნდა ჩართულიყვნენ“, — აცხადებს ბედუკაძე.

რაც შეეხება გიორგი ლომიას, ჟურნალისტ ირმა ინაშვილის ინფორმაციით, იგი „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია და ბედუკაძესთან ურთიერთობის დეტალებზე ხვალინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს.

ინტერპრესნიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“ ვალებისგან გათავისუფლებული უნდა დაუბრუნონ“

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ, ბიძინა ივანიშვილის აზრით, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს ტელეკომპანია „იმედი“ ვალებისგან გათავისუფლებული უნდა დაუბრუნონ და არა ვალებით დატვირთული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა, ის ვალები, რაც „იმედს“ დააწერეს, იმან უნდა გადაიხადოს, ვინც ეს ვალები აიღო.

„საერთოდ, მთავარია, ქვეყანაში სამართალი აღდგეს და სამართლიანობის განცდა დაბრუნდეს. ის ვალები, რაც „იმედს“ დააწერეს, უნდა გადაიხადოს იმან, ვინც ვალები აიღო და ვალებისგან გათავისუფლებული ტელევიზია უნდა დაუბრუნონ და არა ვალებით დატვირთული“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ნანა პატარკაციშვილი: „ვინც წასასვლელია „იმედიდან“, წავიდეს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რომელიც კომპანიის 10 %-ს ფლობს და პანამაში რეგისტრირებული კომპანია „რააქ ჯორჯია ჰოლდინგი“, რომლის მფლობელობაშიც წილის დანარჩენი ნაწილი — 90 %-ია.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 21 აპრილს „ჯორჯიან ჰოლდაქშენ გრუპი“ შპს „ტექნო-მედიას“ შეერწყა.

ცნობილი გახდა, რომ არხის გადაცემის პროცესი უკვე დაწყებულია. არსებული ცნობით, გიორგი არველაძემ, რომელიც „იმედის“ დირექტორი იყო, თანამდებობა დატოვა.

მოგვიანებით აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარები პოლიტიკოსებმაც გააკეთეს.

— ტელეკომპანია „იმედის“ პატარკაციშვილების ოჯახისთვის გადაცემა კარგი მაგალითია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გიორგი არველაძემ გმირული აქტი ჩაიდინა, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის თქმით, ძალიან კარგია, ოჯახს რომ საკუთრება დაუბრუნდა, „თუმცა აღფრთოვანების შეძახილები არ აქვს“.

— ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამის გამო ჩვენ გიორგი არველაძეს ტაში უნდა დავუკრათ და ყველაფერი უნდა ვაპატიოთ. ჩვენი ამოცანა არის ის, ზუსტად ისე, როგორც „იმედის“ შემთხვევაში მოხდა, ქონება დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს, მაგრამ იქნება ეს ნებაყოფლობითი თუ სასამართლოს განაჩენის შესაბამისი, იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალადობით იყვნენ დაკავებულები, პასუხი უნდა აგონ. ეს არ ნიშნავს, რომ გიორგი არველაძე გასუფთავდა და მასთან დაკავშირებით პრობლემა არავის ექნება, — დასძინა ხიდაშელმა.

ექსპერტ გია ხუხაშვილის შეფასებით, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნებით სამართალი ბრუნდება. როგორც ხუხაშვილი აცხადებს, პატარკაციშვილების ოჯახისთვის „იმედის“ დაბრუნება მხოლოდ მისასალმებელია, რადგან ამით სამართალი აღდგა. მისივე აზრით, თუ საკითხი სასამართლოს გზით წარიმართებოდა, ეს ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა, საბოლოო ჯამში კი, წაგებული ხელისუფლება დარჩებოდა.

ამასთან, ხუხაშვილი პატარკაციშვილებისთვის „იმედის“ დაბრუნების თაობაზე „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერის, გიორგი თარგამაძის განცხადებასაც გამოეხმაურა და მას ცინიკური უწოდა. „გიორგი თარგამაძის გამოხმაურება ცინიკურია“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ თარგამაძისა და „იმედის“ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია.

ხუხაშვილმა აღნიშნული კომენტარი საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ გააკეთა. მან „იმედის“ ირგვლივ ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებში თარგამაძის როლსა და ქმედებებზე დეტალურად საუბარი არ ისურვა.

— „იმედთან“ დაკავშირებით იმდენად შავი მეთოდები იყო გამოყენებული, რომ სასამართლო გამოძიების დაწყებისთანავე ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა. სწორედ ამიტომ მისმა დღევანდელმა მფლობელებმა, ანუ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არჩიეს ყოველგვარი ზედმეტი დავიდარაბის გარეშე დაეთმოთ ის, რაც მათ კუთვნილებას არასდროს წარმოადგენდა, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ტელეკომპანია „იმედს“ ტოვებს ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი. ამ ინფორმაციას ის საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდის მეშვეობით აკეთებს და იქვე მორალურ ვალდებულებაზე საუბრობს.

პ.ს. გუშინ 17 საათზე ტელეკომპანია „იმედმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა.

მერაბიშვილი წავიდა, ოქრუაშვილი ბრუნდება

ბადრი ბიწაძე სასამართლოს მოლოდინშია

თეა მარხვაიძე

საქართველოში ბოლო წლებში ბევრი უცნაური ამბის მომსწრე გავხდით. ახლაც უცნაური ამბები ხდება ჩვენ გარშემო. 1 ოქტომბერს ჩატარებულმა არჩევნებმა ბევრი რამ შეცვალა. ხელისუფლების ცვლილების პარალელურად ქვეყნიდან გასაქცევი ხალხის სიაც ახალი ხალხით კომპლექტდება. ადრე გაქცეულები კი სამშობლოში დაბრუნებაზე სერიოზულად ზრუნავენ.

გაქცეულიც და გასაქცევიც საქართველოში ბევრი გვყავს. 2003 წლის ყვავილოვანი გადატრიალების შემდეგ საქართველოდან ბევრი გაიქცა. ძირითადად შევარდნაძის და ასლან აბაშიძის გარემოცვა გარბოდა. მერე მათ ბიზნესმენები მიყვნენ. მათი ქონება ვის დარჩა, ამის შესახებ ყველამ კარგად იცით.

საქართველოს დატოვება სააკაშვილის შემცვლელად მოაზრებულ ირაკლი ოქრუაშვილსაც კი მოუწია. არადა, იყო დრო, როცა მას პრეზიდენტი ყველაზე მეტად ენდობოდა. რა ვერ გაიყვეს მეგობრებმა, ვერ გეტყვით (ამაზე უამრავი ჭორი ვრცელდება). ამბობენ, რომ სააკაშვილის კარზე მისი განუზომელი ავტორიტეტი ბევრს აწუხებდა.

მეფის, გნებავთ პრეზიდენტის, კარზე ყოველთვის რამდენიმე კლანი ტრიალებს. ამ მხრივ არც სააკაშვილი ყოფილა გამონაკლისი. ამ კლანებმა ოქრუაშვილი მნიშვნელოვნად ჩააჩოჩეს. სააკაშვილთანაც დააპირისპირეს, რაც ოქროს ოპოზიციაში გადასვლით დასრულდა.

პარტიის პრეზენტაციიდან რამდენიმე დღეში ის დააპატიმრეს. მერე კი საქართველოდან გააძევეს. ამასთან მასზე ძებნაც გამოაცხადეს. გაქცეული ოქრუაშვილი პოლიტიკურ საქმიანობას თავს არ ანებებს. ის პარიზიდან ხშირად აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს.

2010 წელს ახალი ორგანიზაცია „ქართული პარტიაც“ კი შექმნა. ამ პარტიას მისი ჩართვით 5 ლიდერი ჰყავდა. ეს პარტია რამდენიმე თვეში დაიშალა. ოქრო ახლა ფაქტიურად უპარტიოა. ამის მიუხედავად, მაინც რეიტინგულ ფიგურად რჩება. მისი მომხრეები უკვე დიდი ხანია, რაც ოქრუაშვილისგან ახალ განცხადებებს ელიან.

ის კი დუმს. დუმილის უფლებით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ სარგებლობს. თავიდან მეოცნებეების ლიდერზე რაღაცები თქვა. მერე დაგვპირდა, არჩევნებამდე ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ თუ ოპოზიცია წააგებს, ვერავინ გამაჩერებსო.

არჩევნებმა არხეინად ჩაიარა. გამარჯვება ოპოზიციას დარჩა. ოქრო დუმს. ოღონდ ვერ გეტყვით, რატომ.

ბოლო დღეებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ის საქართველოში აუცილებლად ჩამოვა. წინა კვირაში ის „ჰელსინკის ჯგუფმა“ პოლიტდევნილად აღიარა. მასთან ერთად ეს წოდება ბადრი ბიწაძემ, მიშა ქარელმა და ქიბარ ხალვაშმაც დაიმსახურეს.

ოთხივე მათგანს სერიოზული ბრალდებები აქვთ წაყენებული. მეოცნებეები პირობას დებენ, რომ ყველა ხმაურიანი საქმე თავიდან იქნება გამოძიებული. საქმეების ნაწილის შესწავლას საპარლამენტო კომისია შეისწავლის. ამ კომისიას სათავეში თინა ხიდაშელი ჩაუდგება.

„ქართულ პარტიაში“ იმედი აქვთ, რომ ხიდაშელის კომისია ირაკლი ოქრუაშვილის საქმესაც შეისწავლის.

როგორც „ქართული პარტიის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლია კამლაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუმარტა, ოქრუაშვილი მოხვდა იმ 167 ადამიანს შორის, რომელიც „ჰელსინკის ჯგუფმა“ პოლიტპატიმრებად მიიჩნია.

ლია კამლაძე არ საუბრობს იმაზე, აპირებს თუ არა ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნებას. ამბობს, რომ ოქრუაშვილი ამაზე თავად გააკეთებს განცხადებას.

თბილისში კი უკვე ბევრს საუბრობენ, რომ ოქრუაშვილი საქართველოში ძალიან მალე დაბრუნდება. ლია კამლაძე ამბობს, რომ არაფერი არ არის გამორიცხული.

საუბრობენ, რომ საქართველოში დაბრუნებას ბადრი ბიწაძეც გეგმავს. მას ქვეყნის დატოვება გასულ წელს მოუწია. მასაც საკმაოდ მძიმე და ამავე დროს კომიკური ბრალდებები აქვს. თურმე ბიწაძე შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდა. რომელიც მოლოტოვის კოქტეილითა და „რაგატკებით“ უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. მის საქმეს სასამართლო განიხილავს. ბიწაძეს ამ სასამართლომდეც შეუძლია საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ „მერაგატკეობაში“ ეჭვმიტანილი, როგორც ამბობენ, საქართველოში მხოლოდ სასამართლოს შემდეგ ჩამოვა.

ოქრუაშვილი-ბიწაძის მსგავსად, გაურკვეველია, როდის ჩამოვლენ საქართველოში ზურაბ ადეიშვილი და შაშკინი. მათ დაბრუნებას საქართველო არჩევნების შემდეგ ელოდება. ისინი კი არ ბრუნდებიან.

ბოროტმა ხმებმა გაავრცელეს ხმა, რომ მალე ვანო მერაბიშვილიც მათ გზას გაუყვებაო. ინფორმირებული წყაროების ნაწილი ამტკიცებს, რომ ვანო უკვე წავიდა.

წასვლით ვანო მართლაც წავიდა, ოღონდ ოფიციალური ვიზიტით. ოღონდ რომელ ქვეყანაში იმყოფება ვიზიტით ვანო მერაბიშვილი, უცნობია



საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი ორდღიანი ვიზიტით საზღვარგარეთ იმყოფება. პრემიერის აპარატში არ აკონკრეტებენ, თუ სად იმყოფება მერაბიშვილი.

როგორც „ნიუსპრესს“ პრესსამსახურში განუცხადეს, რადგან ოფიციალურ ინფორმაციაში არ არის მითითებული, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფება პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, მათ სხვა დეტალის გამჟღავნება არ შეუძლიათ.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მერაბიშვილი საქართველოში 18 ოქტომბერს დაბრუნდება.

ელიზბარ ჯაველიძე: „ნაციონალური მოძრაობა უნდა აიკრძალოს!“

„ვაი იმ ქვეყანას, სადაც ბარამიძე დეპუტატი იქნება“

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე არჩევნების შედეგებით კმაყოფილია. მიაჩნია, რომ ეს საკმარისი არაა. ყოფილი დეპუტატის მტკიცებით, ნაციონალები ყველაფერს გააკეთებენ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რაც, მისი თქმით, საქართველოს დაღუპავს. ამიტომაც ის ნაციონალების აკრძალვას ითხოვს.

რატომ არის ნაციონალებისთვის უნდა აეკრძალოთ მათ პოლიტიკაში უკეთესი იყვნენ ციხეში, რა მიზეზით ყოფნა, ვინ აპირებდა 2 ოქტომბერს თბილისში ტანკების შემოყვანას, ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.



თეა მარხვაიძე

– ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე კვირაში თქვენ გამართეთ პრესკონფერენცია და თქვით, რომ „სოროსის სოროდან გამოსოროსებული ხელისუფლება სოროსის სოროში უნდა მივასოროსოთო“. 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეგიძლიათ იმის თქმა, რომ ისინი მისოროსდნენ?

– 1 ოქტომბერი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი დღე იყო. ამ დღეს უკუნში გამოჩნდა მზის სხივი. ნაციონალები სასტიკად დამარცხდნენ. მე კარგად ვიცი მათი ბუნება და ეჭვი არ მეპარება, რომ უკან დაბრუნებას შეეცდებიან. ეს კი ჩვენს ქვეყანას დაღუპავს.

– ამბობენ, საამისო რესურსები აღარ აქვთო.

– გამონახავენ. ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და გააგრძელონ ქვეყნის ნგრევა. ჩვენ ეს აღარ უნდა დავუშვათ. ამისთვის უნდა მოხდეს კანონის მიღება. რომლითაც ნაციონალებს აეკრძალებათ პოლიტიკაში მოსვლა. ეს მოთხოვნა სახალხო კრებამ დააყენა. ისინი 10 წლით ითხოვენ ამ აკრძალვის დაწესებას. არავითარი 10 წელი. მათ სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ პოლიტიკასთან გაკარება.

– ეს მეტისმეტი ხომ არ არის?

– არა!!! მათი პოლიტიკაში დაბრუნება საქართველოს დაღუპავს!!! ხომ ხედავთ, ისევ აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას.

– რას გულისხმობთ?

– ცდილობენ, დაამყარონ ორხელისუფლებიანობა. სააკაშვილის ნიშნავს გუბერნატორებს. ცდილობს, რეგიონებზე დაამყაროს კონტროლი. როგორც თავად ამბობენ, ცდილობენ ოპოზიციიდან ისევ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. მერე ამბობენ, ეს არის დემოკრატიაო. დემოკრატია ეს არ არის. დემოკრატია არის, როცა არჩევნებით შეიცვლება ხელისუფლება. ამათ კი არჩევნებში არავინ არ მისცემს ხმას. ახლა ხელახლა რომ ჩაატარო მართლა დემოკრატიული არჩევნები, გარწმუნებთ, ნაციონალები 5% ბარიერსაც კი ვერ გადალახავენ. ამიტომაც მოამზადეს მზაკვრული გეგმა. ცუდი ისაა, რომ ამას ამართლებს ამერიკა და ევროპაც.

– მათაც იციან ამ მზაკვრული გეგმის შესახებ?

– მათთან ამ გეგმაზე არ საუბრობენ. ამბობენ, რომ იქნებიან ოპოზიციაში და ხელისუფლებას დაიბრუნებენ. ეს დასავლეთში ჩვეულებრივი ამბავია. ამერიკაში ხან რესპუბლიკელები მოდიან ხელისუფლების სათავეში, ხანაც დემოკრატები. უცხოელებს ძალიან უკვირთ, რატომ ვაპროტესტებთ ქართველები ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნების მცდელობას. ეს უცხოელები ეტყობა ახლომხედველები არიან ან არ სურთ ნაციონალების რეალური სახის დანახვა. ნესით, მათ უნდა შეისწავლონ, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში. საქართველოში იყო პირნწავარდნილი ტირანია! სააკაშვილი გადაწყვეტილებებს ნამდვილი ტირანივით იღებდა. ამ წლების განმავლობაში ათეულობით ადამიანი მოკლეს ქუჩებში. 26 მაისის აქცია არნახული სისასტიკით დაარბიეს. ათასი უბედურება შეიძლება გავიხსენოთ, რაც ამათ ჩაიდინეს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც ციხეებში ხდებოდა.

– მოგვიანებით სააკაშვილმა თქვა, ასეთი რამეები ყველა ქვეყანაში ხდებაო.

– ამის არავის არ სჯერა. ასეთი რამ მარტო აქ ხდებოდა. და ამის შემოქმედი გახლავთ სააკაშვილი.

– ამბობს, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

– ეს არის მტკნარი სიცრუე! მან ამის თაობაზე არათუ იცოდა, არამედ ამით სიამოვნებასაც კი ღებულობდა. მე რამდენიმე წლის წინ დავწერე ნაშრომი. სადაც მიხეილ სააკაშვილი კალიგულას შევადარე. იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ციხეში პატიმრებს ასე თუ აწამებდნენ. კალიგულას ძალიან უყვარდა ადამიანის წამების ყურება. ამით ნეტარებდა კალიგულა. ასევე იქცევა სააკაშვილი. მას ხალხის წამება სიამოვნებას ანიჭებს. იგივე ითქმის გიგა ბოკერიაზეც. ამის შესახებ უკვე გაკეთდა განცხადება. სანდრო ბრეგაძემ გააჟღერა ინფორმაცია, რომ ქალბატონი კალმახელიძე თაყვანისმცემელთან ერთად შედიოდა ციხეში. შამპანურს წრუპავდა და პატიმრების წამებით ერთობოდა. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ამ ნაციონალებს კიდევ უამრავი საშინელება აქვთ ჩადენილი. მათ ხალხს წყალი და მინაც კი გაუყიდეს. და ახლა ეს ხალხი აპირებს უკან დაბრუნებას? ვერ მივართვით! მაგათი ადგილი არის ციხეში. ციხეში უნდა გავუშვათ ის ხალხიც, რომლებიც საქართველოდან გაიქცნენ. მათ აქედან უზარმაზარი თანხები წაიღეს და საზღვარგარეთ ვილები წამოჭიმეს. ასე მარტივად არ უნდა შერჩეთ ხალხის ძარცვა. ესენი ყველანი უნდა გასამართლდნენ და ციხეში წავიდნენ, ნაციონალები კი უნდა ავკრძალოთ, როგორც ბოროტი ძალა. და ნუ გადაგვაყოლეს, გზები აგიშენეთ და დენი მოგეციოთ. 21-ე საუკუნეში დენზე რომ ლაპარაკობენ, სირცხვილია. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რა უჯდება ჩვენს მოსახლეობას დენი. ხალხი დენში სისხლის ფასს იხდის. ციხეში უნდა გავუშვათ ის ხალხი, რომლებმაც უკანონოდ გაუშვეს ადამიანები ციხეში.

– დღეს ბევრი ითხოვს ამნისტიას. თქვენც უერთდებით ამ მოთხოვნას?

– რა თქმა უნდა! ციხეები სავსეა უდანაშაულო ხალხით. რამდენიმე წლის წინ დააპატიმრეს მოძრაობა ანტისოროსის წევრები. ამ ორგანიზაციის წევრი მეც ვიყავი. დაგვაბრალეს, ვითომ გადატრიალებას ვგეგმავდით. ეს ბიჭები სასწრაფოდ უნდა გამოუშვან გარეთ. იგივე მოთხოვნა მაქვს სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის წევრების მიმართაც. ეს ხალხი ვინც დაიჭირა, ისინი გაუსამართლებლად უნდა შეუშვა ციხეში. ახლა თავად იგემონ, რა არის ციხე. სააკაშვილმა, ამ მართლა ტირანმა, საქართველო ციხედ აქცია. თავად ციხე კი კარცერად იქცა. ამ ქვეყანაში ცხოვრება კი არა, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. საზოგადოებას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. და ახლა ყოყლოჩინობენ და ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ. ესენი, სააკაშვილით დანყებული, ბარამიძით დამთავრებული, ციხეში უნდა იყვნენ. აფრასიძეების საქმე სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული. ბარამიძემ იქ საშინელებები ჩაიდინა. ის ამაზე პასუხს აგებს.

– თავად დარწმუნებულია, რომ აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის გამო მას პასუხს არავინ მოსთხოვს.

– გაიძახის, ფაქტები დამიდეთ. რაღა ფაქტები გინდათ, 1200 კაცით და ვერტმფრენებით დაესხნენ აფრასიძეებს თავს. ოჯახი ამოხოცეს. ევგენი აფრასიძე ცოცხლად დაწვეს. ბარამიძემ ძმას ძმის სიკვდილი აყურებინა. ამას ფოტოაპარატით იღებდნენ. ამაზე პასუხს აგებს. ის არის კრიმინალი.

– ამავე დროს ის არის ახალი პარლამენტის წევრი?

– ბარამიძისნაირი ხალხი რომ ტივტივებს, ეს არის ჩვენი ბრალი. ვაი, იმ ქვეყანას, სადაც ბარამიძე დეპუტატი იქნება. იგივე შემიძლია ვთქვა ბაქრაძეზე. მას ხალხი არ ამოუხოცავს, მაგრამ მისი ცოლი ათასებს ხარჯავს ტელეფონით საუბარში და ამას ბიუჯეტი იხდის. ესენი ყველანი დამნაშავეები არიან. ზოგი მკვლელობაში არ არის გარეული, მაგრამ დამნაშავეები არიან. სააკაშვილის გვერდით მდგომი კაცი მართალი და წესიერი არ იქნება.

– იმათზე რას იტყვით, ვინც სააკაშვილს ზურგი აქცია?

– ისინი უარესები არიან! მათაც პასუხი უნდა აგონ. ისეთი დანაშაული, რაც ამათ ჩაიდინეს ქართველი ერის წინააღმდეგ, კომუნისტებსაც კი არ ჩაუდენიათ. ამათ კი დიდი საშინელების ჩადენა სურდათ 2 ოქტომბერს.

– რას გულისხმობთ, ბატონო ელიზბარ?

– ამაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ ვიცით, რომ ტანკები გამზადებული ჰყავდათ.

– ვის ჰყავდა ტანკები გამზადებული?

– ნაციონალებს. სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ ზონდერ-ჯგუფებიც. 2 ოქტომბერს ძმები ახალაიები ტანკებით აპირებდნენ თბილისში შემოსვლას. იგეგმებოდა არჩევნების გაყალბება. ამას ხალხი არ შეეგუებოდა, გამოვიდოდნენ ქუჩაში, დაიწყებოდა აქციები. ხალხს კი ტანკებით გადაუვლიდნენ.

– ფაქტია, რომ ხელისუფლებამ არც ტანკები გამოიყვანა და არც არჩევნები გააყალბა მაინცდამაინც.

– არ გააყალბა კი არა, ვერ გააყალბა. მთელი ქვეყნის მასშტაბით იმის გაკეთება სურდათ, რაც ხაშურში გააკეთეს.

– რატომ აიღეს განზრახვაზე ხელი?

– ამერიკა ჩაერია და იმიტომ. ამერიკამ არ მისცა სააკაშვილს ამ საშინელების ჩადენის უფლება. ამერიკამ ეს ქართველი ხალხისთვის კი არ გააკეთა, არამედ საკუთარი თავისთვის.

– რას გულისხმობთ?

– ამერიკა მიხვდა, რომ თუ სისხლი დაიღვრებოდა, მათთვის იქნებოდა ცუდი.

– მათთვის რატომ იქნებოდა ცუდი?

– სისხლის ღვრის შემთხვევაში ქართველი ხალხი სააკაშვილს ამ დაინდობდა და ჩამოაგდებდა. მის მფარველად ამერიკა ითვლება. საქართველო ამერიკისკენ აღარც კი გაიხედავდა. ვაშინგტონს კი საქართველოს და ამ რეგიონის დაკარგვა არ სურს. უკვე რამდენჯერმე ვთქვი, რომ ესენი არ მოისვენებენ. ამიტომ ნაციონალური მოძრაობა უნდა აიკრძალოს. ასე მოიქცა ზვიად გამსახურდია, როცა კომუნისტური პარტია აკრძალა. ამაზე ხალხს მაშინ პროტესტი არ გამოუხატავს. არც ახლა გამოხატავენ.

– მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ნაციონალებში ხალხი დღემდე წევრიანდება.

– ვაი იმის პატრონს, ვინც დღეს ნაციონალებში შევა! ეს პარტია როგორ შეიძლება დარჩეს, რომელმაც ქვეყანას იმაზე მეტი საშინელება დამართა, ვიდრე მონღოლებმა და თემურ ლენგმა. ესენი სატანები და ეშმაკის ნაშობნი არიან. სასწრაფო წესით უნდა მოხდეს მათი გასამართლება.

– ყველას გასამართლებას ითხოვთ, ვინც კი ნაციონალურ მოძრაობაში იყო?

– ვინც დამნაშავეა, ის უნდა გასამართლდეს.

– ვისაც არ ჩაუდენია დანაშაული?

– იყო ნაციონალი, ესეც დიდი დანაშაულია. ეს ხალხი უნდა მოიკვეთოს.

– რას ნიშნავს მოიკვეთოს?

– ქვეყნიდან უნდა გააძევონ! ამათ იმდენი საშინელება აქვთ ჩადენილი, საქართველოში არ დაედგომებათ. ახალმა პარლამენტმა ამ პარტიის აკრძალვაზე უნდა იფიქროს. დღეს ხერხემალში არიან გადატეხილი, მაგრამ გამთელდებიან. ამიტომ სანამ დროა, უნდა მიეხედოს ამ საქმეს. როგორც თავში უკვე გითხარით, სოროსის სოროში ჯერ არ მისოროსებულან. სასწრაფოდ უნდა მივასოროსთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ჯერჯერობით არარეალურია

ნათია ხურცილავა

ახალი მთავრობა გააგრძელებს დინამიურ სვლას ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა, ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროპა არის საქართველოს ბუნებრივი დანიშნულება და ადგილსამყოფელი. როგორც მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, „ქართული ოცნების" მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ევროკავშირში და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი დინამიურად გაგრძელდეს. აქვე მან ისაუბრა საქართველოში დაგეგმილ ევროკომისარ, შტეფან ფულეს და ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაის ვიზიტზე და განაცხადა, რომ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი. როგორც მან აღნიშნა, შტეფან ფულეს და ჯეიმს აპატურაის ექნება შესაძლებლობა შეხვდნენ როგორც ახალ ხელისუფლებას, ასევე უკვე ოპოზიციაში გადასულ „ნაციონალურ მოძრაობის" წარმომადგენლებს.

ალექსი პეტრიაშვილმა ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ კარგ სტადიაშია და ძალიან სერიოზული შრომატევადი სამუშაოებია გაწეული.

– დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესი გვექნება, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ალექსი პეტრიაშვილმა კომენტარი რუსეთის ფედერაციის მისამართითაც გააკეთა.

– რუსეთმა მკაფიოდ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსი შეუქცევადია, – ამის შესახებ ფორ. გე-ს პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა, ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

ალექსი პეტრიაშვილი ამბობს, რომ რეალობას ვერავინ შეცვლის და ვერც გეოგრაფიას და რუსეთი არის საქართველოს ყველაზე დიდი მეზობელი. მინისტრობის კანდიდატმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება.

– არავის აქვს ილუზია, რომ ისინი პოზიტიურად შეხვდებიან ჩვენს კურსს, რომელიც გულისხმობს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

მანვე აღნიშნა, რომ დიალოგი საჭიროა იმისთვის, რომ მოიხსნას არსებული დაძაბულობა. როგორც მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, ახალ მთავრობას რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა სურს. ამასთან, პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ თავად რუსეთისთვისაც არ უნდა იყოს კომფორტული ის ვითარება, რომ საერთაშორისო ფორუმებსა და საერთაშორისო ღონისძიებებზე მუდმივად ისმის მათი კრიტიკა, რომ მათ მიერ არის საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული.

– რუსეთს მოუწევს საერთაშორისოდ აღიარებული წესებისადმი დაქვემდებარება, მაგრამ ამას სჭირდება მოლაპარაკებები. ეს იქნება რთული, მაგრამ ეს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვახორციელოთ, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

მინისტრობის კანდიდატის თქმით, დიალოგის ფარგლებში პირველ ეტაპზე საუბარი იქნება კულტურულ სფეროში დიალოგზე, ჰუმანიტარულ სფეროსა და ეკონომიკურ სფეროში დიალოგზე.

– ჩვენ არ ვაპირებთ წინა ხელისუფლების მსგავსად მოვუწოდოთ ყველას, რომ არ გაბედონ რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ბოლი დროს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი შეფასებები მოყვა. ეს განცხადება დაგმეს უკვე უმცირესობაში გადასულმა ყოფილმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა მინისტრობის კანდიდატი.

– საქართველოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა მხოლოდ წაადგება ქვეყანას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა, ალექსი პეტრიაშვილმა.

მისი თქმით, ქართული მხარე არ უნდა ეცადოს თვითიზოლაციისკენ სწრაფვას.

როგორც მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, ამისკენ იქნება მონოდება ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც.

– ის ბუნდოვანება, რომელიც ისმოდა უკვე ყოფილი ხლისუფლების მხრიდან, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს სოჭის ოლიმპიადაზე და არაფერი არ არის გამორიცხული, – ასეთი ტიპის რიტორიკის და საგარეო პოლიტიკის დრო უნდა დასრულდეს, – აცხადებს ალექსი პეტრიაშვილი.

„ცენტრ პოინტის" მიერ დაზარალებულებმა პროკურატურასთან აქცია გამართეს

დეველოპერული კომპანია „ცენტრ პონტის" მიერ დაზარალებულმა მოქალაქეებმა გუშინ პროკურატურასთან აქცია გამართეს და მათ მიერ გადახდილი თანხების შესაბამისად ბინების კუთვნილებაში გადაცემა მოითხოვეს.

როგორც „ნიუსპრესს" აქციის ორგანიზატორმა, კოალიცია „ქართული ოცნების" წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა განუცხადა, იგი წლებია დაზარალებულებთან ერთად ხელისუფლებას აღნიშნული პრობლემის მოგვარებას სთხოვს.

„წლებია მე და ეს ადამიანები მოვითხოვთ, რომ სისრულეში იქნას მოყვანილი ის ხელშეკრეულება, რომელიც მათ თავის დროზე „ცენტრ პოინტთან" გააფორმეს. ის თანხა, რომელიც წლების წინ ბინების აშენების საფასურის სახით გადაიხადეს, „ცენტრ პოინტის" მესვეურების მიერ უკანონოდ მითვისებულ იქნა. 25 ათასამდე ადამიანი კი, უსახლკაროდ დარჩა, ვინაიდან, „ცენტრ პოინტს" პარლამენტის ვიცესპიკერი რუსუდან კერვალიშვილი ხელმძღვანელობდა, ყოფილმა ხელისულებამ ამ საქმეზე რეაგირება არ მოახდინა"-აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

„2006 წელს „ცენტრ პოინტს" სრულად გადავუხადე ის თანხა, რაც ჩემი ბინის აშენებისთვის იყო საჭირო, თუმცა, მშენებლობა დაპირებისამებრ 2009 წელს არ დასრულდა და მოტყუებული დავრჩი" – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე გულნაზი ჩაჩავა.

აქციის მონაწილეები იმედოვნებენ, რომ ახალი ხელისუფლება და კონკრეტულად პროკურატურა დაუყონებლივ დაინტერესდება მათი პრობლემით.

„ცენტრ პოინტის" ვალდებულებები მოგვიანებით კომპანია „დექსუსს" გადაებარა, რომელმაც კომპანიის კლიენტებს დამატებით დღგ-ს 18%-ის გადასახადიც მოსთხოვა. სანამ ისინი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდიან, ბინები მესაკუთრეების იურიდიულ მფლობელობაში არ გადავა.

ნიუსპრესი

გიორგი თევზაძე: „ციხეებში პატიმრები აბსურდული ბრალდებებით სხედან"

გულიკო ბალაძე

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ ციხეებში პატიმრები აბსურდული ბრალდებებით სხედან და პატიმრობის ვადა შეკრებითობის პრინციპითაა დადგენილი.

გიორგი თევზაძის თქმით, აბსურდული ბრალდებებით დაპატიმრებულების მიმართ, საპროცესო შეთანხმებასთან ერთად, იყენებენ თავისუფლების აღკვეთის ვადის განსაზღვრას შეკრებითობის პრინციპის მიხედვით, რის გამოც მთლიანობაში საკმაოდ მძიმე სასჯელები გამოდის.

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ ციხეებიდან უნდა გათავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებსაც აბსურდული და დაუსაბუთებელი ბრალდებები აქვთ. ასევე აუცილებლად უნდა მოიხსნას შეკრებითობის პრინციპით სასჯელის გამოყენება. ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით ადამიანების დაპატიმრება და მათი ე.წ. საპროცესო შეთანხმების პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენება.

– ბატონო გიორგი, თქვენ აცხადებთ, რომ დღეს ციხეებში პატიმრები აბსურდული ბრალდებებით სხედან, ანუ არიან ისეთი პატიმრები, რომლებსაც დანაშაული არ უმტკიცდებათ?

– დღევანდელ ციხეებში მართლაც მრავლად არიან ციხეებში დაუსაბუთებელი ბრალდებებით დაპატიმრებულნი. მათი უმეტესობა თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით სასჯელს იხდის ციხეში, ანუ ისინი სასჯელს იხდიან იმისათვის, რაც არ არის დასაბუთებული სისხლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რაც არ ჩაუდენიათ. ამის მაგალითები ბევრია. მაგალითად, ამჟამად პატიმარმა შმაგი გამჯაშვილმა და მისი მეგობარმა სურენ დანელოვმა, ბრალდების ფაბულის თანახმად, ფარულად შეაღწიეს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში მცხოვრები მოქალაქის საცხოვრებელი სახლის ეზოში, სადაც დააზიანეს საპირფარეშო და მოიპარეს ლითონის მილი. ამ ქურდობის მცდელობისთვის ეს პირები დააპატიმრეს და სასჯელის ზომად მიესაჯათ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ შორის, საპატიმროდ დადგინდა ცხრა წელი, ხოლო სამი წელი – პირობითი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატიმრებთან საპროცესო გარიგება შედგა. ამჟამად სასჯელს იხდიან, რაც, ბუნებრივია, არაადეკვატური და მიზანშეუწონელი განაჩენია. აქ იკვეთება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემა, რომელიც მრავალი სხვა მაგალითის მსგავსად, პროკურატურის ნებაზე იყო ჩამოკიდებული.

ასევე დაუსაბუთებელი და ცინიკურია პატიმარ გეგა სადოიანის მიმართ გამოტანილი განაჩენი. ამ საქმეზე მისმა ოჯახის წევრებმა მოგვმართეს განცხადებით დახმარებისათვის. ჩვენს ორგანიზაციას მომართა დახმარებისათვის. ეს პატიმარი სასჯელს იხდის ქურდობის მცდელობისთვის. პატიმარი გეგა სადოიანი მსჯავრდებულია კურიოზული ფაქტისთვის. კერძოდ, საბჭოთა წარმოების ისეთი მანქანის გატაცებისთვის, რომელსაც არ ჰქონდა საბურავები და მანქანა აგურებზე იყო დადგმული. სადოიანი მაშინ იქნა დაკავებული, როდესაც ნასვამს ღიად დატოვებულ მანქანაში ეძინა. სადოიანს მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ შორის, 4 წელი – საპატიმროში მოხდით, ხოლო ორი წელი პირობით მიესაჯა. ამჟამად ეს პატიმარი მძიმე ფორმის ტუბერკულოზითაა დაავადებული.

– როგორ ფიქრობთ, რა ეშველებათ ასეთ პატიმრებს?

– ვფიქრობ, იმ პატიმრების საქმეები, რომლებიც ასეთი აბსურდული ბრალდებებით სხედან ციხეში, უნდა გადაიხედოს და ისინი უნდა გათავისუფლდნენ.

– სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ცემის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღკვეთისათვის რა უნდა გაკეთდეს?

– უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება თითოეული ფაქტის და პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებიც მხილებული არიან, ან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი მათ მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა და პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე. ეს მიდგომა აუცილებელია გატარდეს არა მარტო გლდანის №8 დაწესებულების, არამედ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების მიმართ. ასევე აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს სისტემაში თანამშრომელთა მიღებისა და მათი საქმიანობის კონტროლის წესი. მიზანშეწონილად მიმაჩნია, ერთ-ერთ კომპონენტად თითოეულმა ახალმა თანამშრომელმა (საუბარია ძირითადში საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებზე) ჯანმრთელობის შემოწმების პროცესში, გაიაროს ფსიქოლოგიური შემოწმებაც. ამასთან ერთად აუცილებელია არსებობდეს პოლიტიკური ნება, რათა ამ სისტემურ ცვლილებებს მიზანმიმართული პოლიტიკის სახე მიეცეს. ვფიქრობ, მოცემულ მომენტში ასეთი პოლიტიკური ნება არსებობს. ვიმედოვნებ, რომ მას რეალური გაგრძელება ექნება. ამასთანავე მნიშვნელოვანია, სრულად იქნას გამოყენებული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება – განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, უფლებადამცველების მონაწილეობით, რათა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს და აღიკვეთოს პატიმართა კანონიერი უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფაქტი, თუ მომავალში ასეთს ექნება ადგილი.

– საერთოდ, სასჯელის ვადის განსაზღვრისას შეკრებითობის პრინციპის შემოღება რა მიდგომაა?

– სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის შემოღება თავიდანვე სისხლის სამართლის მცდარი პოლიტიკის ნაწილი იყო, რამაც კატასტროფულად გაზარდა იმ პატიმართა რაოდენობა, რომელთაც შეუსაბამოდ მკაცრი და არაადეკვატური სასჯელები შეეფარდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა როგორც შეკრებითობას, ასევე შთანთქმის პრინციპს. თუმცა, ძნელად შეიძლება მოიძებნოს შემთხვევა, როდესაც შეკრებითობის პრინციპის გამოყენება ხდებოდა დანაშაულის სიმძიმის არაადეკვატურად. ამასთან ერთად მეტ-ნაკლებად ყურადღება ექცეოდა საპროცესო ნორმების დაცვას, დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავის პიროვნებას. მას შემდეგ მოქმედებაშია დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პოლიტიკა. სამწუხაროდ, შეკრებითობის პრინციპის გამოყენება მუდმივად ხდება მახინჯი ფორმით. ვფიქრობ, მოხდება ამ მახინჯი ფორმის გადახედვა და უახლოეს პერიოდში განხორციელდება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოების უსაფრთხოება და ინტერესი.

– სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დაამტკიცა სასჯელაღსარულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ნუსხა, რომელშიც თქვენც ხართ ჩართული. როგორია თქვენი ხედვა მომავალში ამ ჯგუფის მუშაობაზე?

– პენიტენციური სისტემაში საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის შექმნა წლების მანძილზე მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც მედიის საშუალებებით არაერთხელ გაგვიხმოვანებია. ვფიქრობ, პენიტენციალური სისტემის გაჯანსაღების პროცესში ეს ახალი ეტაპი იქნება. ამასთანავე მნიშვნელოვანია სოზარ სუბარის პოზიცია, რომელიც დადებითად აფასებს ამ ნაბიჯს. იმედია მონიტორინგის ჯგუფი უფრო გაფართოვდება პრაქტიკოსი უფლებადამცველებისაგან და არ მოხდება უკვე დამტკიცებული სიის შეცვლა მათი სიიდან ამოღების გზით. ამ მიმართულებით უკვე ვგეგმავ აქტიურ საქმიანობას, რათა ჩემი წვლილი შევიტანო ამ დადებით პროცესებში.

– თქვენ წლების განმავლობაში ითხოვდით ფართო ამნისტიას. ახალ რეალობაში უკვე მიმდინარეობს მსჯელობა, რომ ეს აუცილებლად გაკეთდება. თქვენ როგორ ხედებით ამ გადაწყვეტილებას?

– რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ ფართო ამნისტიაზე დაიწყო მსჯელობა. ვიმედოვნებთ, რომ მას რეალური შედეგები მოჰყვება. ასევე სრულიად ვიზიარებთ ცალკეული ექსპერტების პოზიციას, რომ ეს საკითხი სიფრთხილით გადასაწყვეტია საზოგადოების უსაფრთხოების ამოცანების გათვალისწინებით. თუმცა, არასწორია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამო, დღეს ბევრი პატიმარი უსამართლო და არაადეკვატურ სასჯელს იხდის. სამართლიანობა მოითხოვს, მოხდეს მათი საქმეების აუცილებელ გადასინჯვა და გათავისუფლება. განსაკუთრებით, ეს ეხება დაავადებულ პატიმრებს, რომლებიც დამატებით საფრთხეს უქმნიან სხვა ჯანმრთელ პატიმრებს. ამდენად, გადაუდებელი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ამნისტიის ყველა მუხლი ისე, რომ მაქსიმალურად აისახოს საზოგადოების სამართლიანი მოლოდინი უსამართლოდ მსჯავრდებული პატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად გადახედვას უნდა დაექვემდებაროს უკანონო პატიმრების, ასევე პოლიტიკური პატიმრებისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, სათანადო შესწავლის საფუძველზე, პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლად აღიარებული პატიმრების საქმეები. ამაზე მუშაობა უფლებადაცვით სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილ კომისიებში დასრულებული არ არის. მასზე მუშაობა გრძელდება.

საქართველოში მამაკაცთა ზემოკვდაობა ფიქსირდება

მერი ნამორაძე

მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად ბერდება. გამონაკლისს არც საქართველოს მოსახლეობა წარმოადგენს. მოსახლეობის დაბერების პრობლემა მრავალი ქვეყნის მთავრობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტ საკითხად რჩება. ახალი ხელისუფლების დაბირებას თუ გავითვალისწინებთ, საქართველოშიც უნდა იქცეს პრიორიტეტად ადამიანური რესურსის სათანადოდ გამოყენება მიუხედავად მისი ასაკისა. დემოგრაფები ამბობენ, რომ საქართველოში მამაკაცთა ზემოკვდაობა ფიქსირდება, რომლის ძირითადი მიზეზი უმუშევრად, უფუნქციოდ დარჩენისგან გამოწვეულ სტრესთან ვერგამკლავებაა. ღირსეული სიბერე პირდაპირ კავშირშია საპენსიო უზრუნველყოფასთან, რაც წინასაარჩევნო პიარის თემა ხდება ნებისმიერი პოლიტიკური ძალისათვის.

– დიახ, საქართველო თავისი დემოგრაფიული განვითარებით მიეკუთვნება მესამე პოლუსის ქვეყნებს, თუმცა, მისი დემოგრაფიული მაჩვენებლები საპენსიო რეფორმის კუთხით გარკვეულ არაორდინალურ ვითარებას ქმნის. ევროპის განვითარებული ქვეყნებისგან, საქართველო გამოირჩევა დემოგრაფიული დაბერების (65 წელს გადაცილებულთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში) დაბალ დონესთან ერთად 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის შედარებით მაღალი დონით. ამ უკანასკნელის შედეგად საქართველოს შრომითი რესურსების შევსების რეზერვი მეტია. საქართველოს მოსახლეობა შედარებით უფრო ახალგაზრდულია, ვიდრე დასავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების.

მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 80 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 4,0%-ზე დაბალია და შესაბამისად, ექსპერტული შეფასებით, მინიმუმ 11 წლით დაბალია მამაკაცთა, ხოლო 6,2 წლით ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, საქართველოსგან განსხვავებით, მამაკაცთა საპენსიო ასაკი 65 წელი, ხოლო ქალთა 60 წელი, არის სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც 80 წელს გადაცილებული მოსახლეობა 4,0%-ზე მეტია. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში, სადაც 80 წელს გადაცილებულთა წილი ევროპაში ყველაზე მაღალია, საპენსიო ასაკის 62 წლამდე გაზრდაზე ცხარე დისკუსიაა გამართული.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (გარდა პოლონეთისა), 80 წელს გადაცილებულთა წილი 4,0%-ზე მეტია, მამაკაცთა მინიმალური საპენსიო ასაკი 65 წელზე ნაკლებია. საქართველოს მსგავსად, მამაკაცთა საპენსიო ასაკი 65 წლამდე, გარდა პოლონეთისა და ხორვატიისა, არც ერთ ქვეყანას არ გაუზრდია. მხოლოდ ბულგარეთმა – მამაკაცებისთვის, ესტონეთმა და ჩეხეთმა კი ორივე სქესისთვის მინიმალური საპენსიო ასაკი 63 წლით განსაზღვრეს. რაც შეეხება ლიტვას, ლატვიას, სლოვაკეთს და უნგრეთს აქ იგი 62-დან 62,5 წლამდე ვარირებს.

– პენსიის ოდენობის მხრივ რამდენად ჩამორჩება საქართველო თქვენ მიერ დასახელებულ ქვეყნებს?

– საქართველოში არსებული მინიმალური პენსია (100 ლარი) რამდენიმეჯერ ჩამორჩება ევროპისა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. მაგალითად: რუსეთში, სადაც პენსია დაახლოებით 438 ლარს შეადგენს, საქართველოს 4,3-ჯერ აღემატება, ესტონეთში – 6,6–ჯერ, ხოლო დანიაში 47-ჯერ.

საქართველოში, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, საპენსიო რეფორმა ძირითადად იძულებით ფისკალურ ხასიათს ატარებდა და არ გათვალისწინებულა 50 წელს გადაცილებული მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის თავისებურებანი. ქალთა მეტობა მამაკაცებზე მაღალია 60 წლის, განსაკუთრებით 65 წლის ზემო ასაკებში. 50 წელს გადაცილებულ მამაკაცთა ნაკლებობა ქალების რაოდენობაზე, მიანიშნებს ქალებთან შედარებით მათ მაღალ ავადობაზე და ზემოკვდაობაზე, რის გამოც, დღევანდელ საპენსიო ასაკს 65 წელს, ქალებთან შედარებით, მამაკაცთა ნაკლები რაოდენობა აღწევს.

– პატონო ავთანდილ, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული რეფორმირების პროცესში?

– რეფორმა არა მხოლოდ ფისკალურ ხასიათს უნდა ატარებდეს, არამედ, გათვალისწინებულ უნდა იყოს სიცოცხლის ხანგრძლივობის დონე, რაც საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. დასავლეთ ევროპის და პოსტკომუნისტური ქვეყნების საპენსიო ასაკის მოსახლეობის სტრუქტურისგან საქართველოს ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება ისაა, რომ ქვეყნის დემოგრაფიულ დაბერებაში მნიშვნელოვანია არა იმდენად შობადობის შემცირება, არამედ სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონე, რაც გამოწვეულია მამაკაცთა ზემოკვდაობით შრომისუნარიან ასაკებში და განსაკუთრებით 55 წელს ზემო ასაკის მამაკაცებში. სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელი საბოლოო ჯამში აისახება საპენსიო ასაკის მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაში. საქართველოს საპენსიო ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში აშკარაა, რომ სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობის გამო 75 წლის ზემო ასაკის მოსახლეობა მცირეა, განსაკუთრებით მამაკაცების, რომ აღარაფერი ვთქვათ 80 წელს გადაცილებულ მამაკაცებზე. დასავლეთ ევროპის და პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით საქართველოს საპენსიო ასაკის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უფრო „შეკუმშულია“ და „დაძაბული“. მათგან განსხვავებით, ქვეყნის საპენსიო ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია 70-74 და 65-69 ასაკობრივი ჯგუფები, განსაკუთრებით მამაკაცებში. აღნიშნული ადასტურებს, რომ წინა საპენსიო და საპენსიო ასაკებში მამაკაცთა ავადობა და მოკვდაობა ბევრად აღემატება ქალებისას. შესაბამისად, ამითაა განპირობებული ისედაც დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობაში, მათ შორის, მაღალი სხვაობაც.

– ზემოკვდაობის მიზეზებზე რას გვეტყვით?

– გარდაცვალების მიზეზთა შორის პირველ ადგილზე სისხლის მიმოქცევის სისტემის, შემდეგ ახალწარმოქმნების, სუნთქვითი ორგანოების და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებება, რომელთა წილი შეფასებითი მაჩვენებლები გარდაცვალებულთა საერთო რაოდენობის 84,2%-ს შეადგენს. აღნიშნული მიზეზებით გარდაცვალებულთა კოეფიციენტი განსაკუთრებით მაღალია წინა საპენსიო 60-64 წწ. ასაკის მოსახლეობაში. 50 წლის ზემოთ მოკვდაობის კოეფიციენტები შეფასებითი მაჩვენებლები ბევრად მაღალია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკით. საგანგაშოა ზემოთ დასახელებული ავადობის მიზეზებით გარდაცვლილთა შედარება სქესობრივ ჭრილში. საერთოდ, ქალებთან შედარებით მამაკაცთა ზემოკვდაობა სხვა ქვეყნებისათვისაც დამახასიათებელია, თუმცა, იქ ქალთა და მამაკაცთა მოკვდაობის დონეთა შორის განსხვავებები შედარებით დაბალია. ჩვენთან კი ოფიციალური, მაჩვენებლით მამაკაცთა მოკვდაობის დონე 17,4%-ით მეტია ქალთა მოკვდაობაზე, ხოლო შეფასებითი მაჩვენებლით 25,0%-ით, რაც ფაქტიურად აისახება კიდეც ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის არსებულ სხვაობაშიც. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 50-60 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც მამაკაცთა ზემოკვდაობა ქალებთან შედარებით თითქმის 3-ჯერ, ხოლო 60-65 წწ. ასაკობრივ ჯგუფებში ორჯერ მაღალია. შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცთა ზემოკვდაობა, გარდა ფიზიოლოგიური თავისებურებისა, გარკვეულწილად განაპირობა 50 წლის ზემოთ მამაკაცთა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა. საქმე ისაა, რომ უმუშევრობის მაღალი დონის შედეგად, განსაკუთრებით 50 წლის ზემო ასაკში, დაირღვა ოჯახში ტრადიციულად არსებული მამაკაცის „მარჩენალის როლი“. იგი დამოკიდებული გახდა ოჯახის სხვა წევრებზე, რამაც გამოიწვია სტრესული მოვლენები. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც ხელისუფლებამ მამაკაცთა საპენსიო ასაკი 65 წლამდე ასწია, რის შედეგადაც, წინა საპენსიო ასაკის მამაკაცთა (60-65წ.წ) საარსებო მინიმუმი კიდევ უფრო გაუარესდა. როგორც ფსიქოლოგები ადასტურებენ, მათში გაიზარდა უსუსურობის განცდა და უფრო დამოკიდებული გახდა ოჯახზე. მისგან გამოწვეული სტრესული მოვლენების ზრდამ გამოიწვია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზრდა მამაკაცებში, ხოლო მის სამკურნალოდ ექიმთან ვიზიტის და წამლის ფული მას აღარ აღმოაჩნდა და შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა ამ მიზეზით მამაკაცთა ზემოკვდაობა ქალებთან შედარებით. ანუ, რა მივიღეთ მამაკაცთა მინიმალური საპენსიო ასაკის 65 წლის დაწესებით. ვერც მინიმალური პენსიის ოდენობა დავუახლოვეთ საარსებო მინიმუმს და სანაცვლოდ დავკარგეთ ადამიანური რესურსი?! არადა, კონსტიტუციით სამართლებრივი, სოციალურად ორიენტირებული ჰუმანიზმით სავსე ქვეყანა ვართ?!

– რამდენად იყო გათვალისწინებული მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი?

– საპენსიო რეფორმისას ყველა ქვეყანა ითვალისწინებს მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს, რაც ჩვენთან ასევე არ გათვალისწინებულა. დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები აშკარად განსხვავებულია ოფიციალურ და შეფასებით მონაცემების მიხედვით. ოფიციალური სტატისტიკით იგი 4 წლით მეტია შეფასებითზე, რაც საკმაოდ მაღალია და გარდაცვალებულთა არასრული აღრიცხვის შედეგია.

1997 წლის საპენსიო რეფორმამდე პენსიაზე იყვნენ 1942 წლამდე დაბადებული ქალები და 1937 წლამდე დაბადებული მამაკაცები, ხოლო საპენსიო ასაკის ზრდის შედეგად, 1942 წელს დაბადებული ქალების და 1937 წელს დაბადებული მამაკაცების საპენსიო ასაკმა ერთბაშად 5 წლით გადაინია და ყოველგვარი ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე პენსიის იმედად დარჩენილი 55 წლის ქალები და 60 წლის მამაკაცები, უმუშევრობისა და სიღატაკის მაღალი დონის პირობებში შემოსავლების გარეშე დარჩნენ, რაც ბუნებრივია, ამ ასაკის მოსახლეობაში სტრესულ მოვლენებს გაზრდიდა. საჭირო იყო, მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადება. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო საპენსიო ასაკის იმავე დონეზე დატოვება, რაც პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა იმ პერიოდში გააკეთეს.

– რამდენად რეალურად გესახებათ მამაკაცთა საპენსიო ასაკის შემცირება უახლოეს მომავალში?

– საერთოდ, საპენსიო რეფორმის გატარების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. პირველი – პენსიის მინიმალური საპენსიო ასაკის იმავე დონეზე დატოვება და მინიმალური პენსიის რაოდენობის გაზრდა; მეორე – პენსიის მინიმალური ასაკის გაზრდა მინიმალური პენსიის რაოდენობის იმავე დონეზე დატოვებით; მესამე – მინიმალური საპენსიო ასაკის შემცირება და პენსიის იმავე ოდენობით დატოვება ან ზრდა და ა.შ.

გურამ ოდიშარია: „არანაირ სკანდალში არ გავხვეულვარ“

გულიკო ბალაძე

ახალი მთავრობის შემადგენლობაში პრემიერმინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის მიერ დასახელებულმა მინისტრობის კანდიდატებმა ჯერ თავიანთი ჯგუფები მიავლინეს სამინისტროებში, ხოლო შემდეგ თვითონაც გაეცნენ თავთავიანთ უწყებებში არსებულ ვითარებას. ერთმანეთს ხვდებიან ძველი მინისტრები და მინისტრობის კანდიდატები.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ვითარების გასაცნობად სამუშაო ჯგუფის მისვლას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. დაპირისპირება მოხდა მინისტრობის კანდიდატ გურამ ოდიშარიას მიერ გაგზავნილი ჯგუფის წევრ თაკო ჩარკვიანსა და სამინისტროს თანამშრომლებს შორის.

თუმცა, მინისტრობის კანდიდატი მცირე ინციდენტის გაზვიადებას მასმედიას აბრალებს.

– თქვენი შეფასებით, რა მოხდა თქვენს ჯგუფსა და სამინისტროს თანამშრომლებს შორის?

– სამინისტროს თანამშრომლებსა და ჩემს ჯგუფს შორის დიალოგი ვერ შედგა. ორივე მხრიდან იყო, ალბათ, გადამეტება. დიალოგი რომ ვერ შედგა, ამაში ორივე მხარეა დამნაშავე იმიტომ, რომ ჩვენ, ყველამ უნდა ვისაუბროთ. მე შევხვდი მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს. ჩემი საუბარი ძალიან ზომიერი, ძალიან ნორმალური აღმოჩნდა მინისტრთან და მინისტრის მოადგილეებთან, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მინისტრები და მოადგილეები მოდიან და მიდიან. წლების თუ თვეების შემდეგ მეც წავალ. ამაში ტრაგიკული არაფერია. მთავარია, რჩება დიდი ქართული კულტურა, რომლის მსახურებიც ჩვენ ვართ. ხოლო ის ხმაური, რომელიც გამოწვეული იყო ქალბატონ ჩარკვიანთან დაკავშირებით, მე მგონი, უფრო მასმედიამ გააპოპულარიზაცია, თორემ არავითარი ისეთი არაჩვეულებრივი არ მომხდარა.

– თაკო ჩარკვიანის პიროვნება მინისტრის მოადგილედ განიხილება?

– ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მასმედიამ „აწია“ ეს თემა, თორემ თაკო ჩარკვიანი არც მინისტრის მოადგილედ და არც დეპარტამენტის თავმჯდომარედ არ განიხილება. ეს ჯგუფი შევიდა იქ, როგორც სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც უნდა გაცნობოდა და ჩემთვის გაეცნოთ, ესა თუ ის დეპარტამენტი როგორ მუშაობს. თაკო ჩარკვიანის კანდიდატურა არ განიხილება. პოსტებზე ლაპარაკი არ იყო. ამ დღეებში გაიგებთ, ვინ იქნებიან ჭეშმარიტი მოადგილეები.

– სკანდალი რატომ ვერ აიცილეთ?

– სკანდალი, სკანდალი... იცით რა, მე არ ვიყავი შეხვედრაზე. მე ჩემი შეხვედრები მქონდა. ის ჯგუფი კი ცალკე იყო შესული.

– მასმედიას რატომ აბრალებთ?

– მასმედიას როგორ არ დავაბრალო. მე იქ არ ვყოფილვარ, ზოგიერთი ჟურნალისტი კი ამბობს, თითქოს მეც იქ ვიყავი. თაკო ჩარკვიანის ერთი ინტერვიუ იყო, სადაც ის ამბობს, გურამ ოდიშარიაც იქ იმყოფებოდაო. არ ვყოფილვარ.

– თუ არ ყოფილხართ, რატომ ამბობს ამას თაკო ჩარკვიანი?

– არ ვიცი. მე იქ არ ვყოფილვარ. ალბათ, ჟურნალისტმა არასწორად ჩაიწერა. პრესა.ge-ზე არის თაკო ჩარკვიანის ინტერვიუ და იქ წერია, გურამ ოდიშარიაც იქ იყო, ჩვენთან ერთადო, მაგრამ ამას თაკო ჩარკვიანი არ იტყოდა იმიტომ, რომ მე იქ არ ვყოფილვარ. ეს არის ჟურნალისტის ნაჩქარევად ჩაწერის ბრალი. ამის შემდეგ მეკითხებიან, თქვენ რომ იქ იყავით და სკანდალში გაეხვეთო. მე იქ არ ვიყავი. ერთი კვირის წინ მე შევხვდი მინისტრის ოთხ მოადგილეს და მქონდა შესანიშნავი საუბარი.

ხატია ბუნიათიშვილი წლის ვირტუოზია

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი წლის ვირტუოზია. მას ეს წოდება მსოფლიოს მუსიკალურმა საზოგადოებამ მიანიჭა. ქართველი პიანისტი ბერლინში ყოველწლიურ ფესტივალზე უმაღლესი პრემიით დაჯილდოვდა. ამ მნიშვნელოვან აღიარებასთან ერთად, ხატია ბუნიათიშვილის მიერ გამოშვებული ალბომი 2012 წლის დისკებს შორის ყველაზე საუკეთესოდ აღიარეს.

ეკა ირემაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პიანისტი საზღვარგარეთ ცხოვრობს და კონცერტებსაც უმეტესწილად იქ მართავს, თავისუფალ დროს ყოველთვის საქართველოში ჩამოდის და კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის კონცერტებს ატარებს.

„ამომავალი ვარსკვლავი" – ასე უწოდებენ მას მსოფლიოში, თუმცა თანამედროვეების ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი მარტა არგერიხი ქართველ პიანისტს ასე ახასიათებს:

– ხატია ექსტრაორდინარული ტალანტის მქონე პიანისტია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა განსაკუთრებულმა პიანისტურმა ნიჭმა, ბუნებრივმა მუსიკალურობამ, წარმოსახვის უნარმა და ბრწყინვალე ვირტუოზულობამ.

ხატია ბუნიათიშვილი 25 წლისაა. მისი დებიუტი 6 წლის ასაკში შედგა სიმფონიური მუსიკის კონცერტზე, ადრეულ ასაკში დაიწყო მისი საერთაშორისო კარიერაც. ქართველ პიანისტს გამართული აქვს კონცერტები შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, საბერძნეთში, ჩეხეთში, ლატვიაში, რუსეთში, ისრაელში, აშშ-ში, ავსტრალიაში, იაპონიასა და ჩინეთში.

ხატია ბუნიათიშვილმა ელისაბედ ლეონსკაიას სტიპენდიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსზე დაიმსახურა პირველი პრემია, თბილისის საფორტეპიანო კონკურსზე, სადაც მეორე პრემია და სპეციალური პრიზები მოიპოვა, ხატია მოისმინა ოლეგ მეისენბერგმა, რომლის რჩევითაც მან სწავლა გააგრძელა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიაში. არტურ რუბინშტეინის სახელობის XII კონკურსზე მან მოიპოვა მესამე პრემია და დასახელდა შოპენის ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლად და მსმენელის სიმპათიად.

მას შემდეგ ხატია ბუნიათიშვილი მრავალი პრესტიჟული ფესტივალის ხშირი შემოქმედებითი სტუმარია, მათ შორისაა, ვერბიეს, მარტა არგერიხის, გსტაადის, ლა როკ დ'ანთერონის, რურის, ლუცერნის, სარატოგას ფესტივალები, გიდონ კრემერის სახელობის კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ლოკენჰაუსში. იგი თანამშრომლობს ისეთ ორკესტრებთან, როგორებიცაა ისრაელის ფილარმონიული, პარიზის ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიული, ფილადელფიის სიმფონიური, ბიბისის სიმფონიური, ენდიარის (ჩრდილოეთ-გერმანიის რადიომაუწყებლობის) ჰამბურგის სიმფონიური, როტერდამის ფილარმონიული, ბრემენის დოიჩე-კამერ-ფილარმონიული, ფრანკფურტის რადიოს, ვერბიეს სიმფონიური ორკესტრები.

ხატია ბუნიათიშვილის დებიუტი კარნეგი ჰოლში ხუთი წლის წინ შედგა, სადაც ზანკელის დარბაზში მან შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა. მან დაუკრა მენდელსონის ორმაგი კონცერტი გიდონ კრემერთან ერთად ვენის მუსიკალურ ასოციაციაში, მალე გიდონ კრემერთან და მის „კრემერატა ბალტიკასთან" ერთად გასტროლები გამართა მილანში, ლა სკალას თეატრში, რომში, პავიასა და სტამბულში. გასულ წელს ქართველმა პიანისტრმა საგასტროლო კონცერტები ჩაატარა ფრანკფურტის რადიოს ორკესტრთან ერთად გერმანიასა და ავსტრიაში, მიუნხენის ფილარმონიულ ორკესტრთან, ვერბიეს საფესტივალო ორკესტრთან ნეემე იერვის დირიჟორობით, პარიზის ორკესტრთან პაავო იერვის დირიჟორობით.

ხატია ბუნიათიშვილს დაგეგმილი აქვს გამოსვლები სან-ფრანცისკოს სიმფონიურ ორკესტრთან ჯააპ ვან ზვედენის დირიჟორობით, ვენის სიმფონიურ და რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან, შანხაის სიმფონიურ ორკესტრთან საახალწლო კონცერტები მიხეილ პლეტნიოვის დირიჟორობით, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა ჩინეთის წამყვან ტელეარხებზე, მიუნხენის ფილარმონიულ და ფრანკფურტის რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან პაავო იარვის დირიჟორობით, ევროპის ახალგაზრდულ ორკესტრთან ვლადიმერ აშკენაზის დირიჟორობით და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ქართველ პიანისტს სოლო და კამერული კონცერტები გამართული სხვადასხვა პრესტიჟულ დარბაზებში, მათ შორის, ლონდონის უიგმორ-ჰოლში, ბერლინის ფილარმონიაში, ამსტერდამის კონცერტგებაუში, ვენის მუსიკალური ასოციაციისა და კონცერტჰაუზის, პარიზის პლეიელის დარბაზში, მუსიკალური აუდიტორიისა და კრიტიკის დიდ ინტერესს და აღფრთოვანებას იმსახურებს.

ხატია ბუნიათიშვილში მრავალი მუსიკოსი და ჟურნალისტი ხედავს მომავლის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტს. ბიბისის მიერ ხატია დასახელებულია ახალი თაობის არტისტად. პიანისტი რეგულარულად თანამშრომლობს?ბიბისის ორკესტრებთან. მან მიიღო ბორლეტი-ბუტონის ნდობის ჯილდო და იმავე წელს მოაწერა ხელი ექსკლუზიურ კონტრაქტს „სონისთან", სადაც მისი შესრულებით ჩაიწერა ფერენც ლისტის თხზულებები. აღსანიშნავია, რომ ამ დისკმა გაიმარჯვა ნომინაციაში და გახდა 2011 წლის „ჩოკ კლასიკა". ვენის კონცერტჰაუსმა კი ხატია ბუნიათიშვილი ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა.

ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გერმანიის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

ვარძია საერთაშორისო ორქშოპს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ვარძიის არქიტექტურული ძეგლის კომპლექსური პრობლემების გადასალახად, საერთაშორისო ექსპერტთა გაფართოებული ჯგუფი და მათი ქართველი კოლეგები სამი დღის განმავლობაში ერთობლივად იმსჯელებენ. ვარძიაში სამდღიანი ვორქშოპი გაიმართება.

– ქვაში ნაკვეთი უნიკალური ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით, სპეციალისტები ერთდროულად ორი მიმართულებით – ვარძიის ქვათა ცვენის პრევენციული სამუშაობის განხორციელებასა და ვარძიის უძველესი მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის დამუშავების საკითხზე იმუშავებენ, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.



ვორქშოპში ორგანიზატორ მხარესთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ მეწყერების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საერთაშორისო ქსელის წამყვანი სპეციალისტები იტალიიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან და ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის, მონუმენტური ფერწერის კონსერვაციის სპეციალისტები. ვორქშოპში ასევე მონაწილეობას იღებენ ქართული ინსტიტუციები – ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო.

– ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 2007 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაშია შეტანილი. ძეგლის სტრუქტურისა და მასალის გათვალისწინებით საუკუნეების განმავლობაში ვარძია ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად რთულ ფიზიკურ მდგომარეობაშია. კლდეში ნაკვეთი ძეგლების დიაგნოსტიკის პრობლემები XX საუკუნის განმავლობაში ფაქტიურად დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელს მსოფლიოში. ტექნოლიგიურმა ინოვაციებმა და კვლევისა და კონსერვაციის კომპლექსურმა თანამედროვე მიდგომებმა შესაძლებელი გახადა ძეგლზე დამანგრეველი პროცესების შეჩერება და ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივება. ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის კვლევა და საკონსერვაციო სამუშაოები რამდენიმე წელია უწყვეტად მიმდინარეობს. ამჯერად ძეგლის დიაგნოსტიკისა და სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოების ჩატარებისთვის უმნიშვნელოვანესია სამუშაო პროცესში წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების დახმარება, რათა შემუშავდეს და დაინერგოს ძეგლის კვლევისა და კონსერვაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია – აცხადებენ ნიკოლოზ ვაჩეიშვილის უწყებაში.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარაჟდეთ ყველგან და ყოველთვის.

საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წინვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბოროშაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

არმიამ კომპლექტი შეავსო

ახმია – შსს 68:57

(15:10, 11:14, 13:15, 29:18)

არმია: გამყრელიძე (13ქ), ა.ბოისა (8ქ), ვ.ბოისა (5ქ,11მ), უგრეხელიძე (2ქ), მილაჟი (14ქ), წიგნივაძე (6ქ), შელბომი (4ქ,8მ), საყვარელიძე, ფეისონი (2ქ), ვილსონი (12ქ), ფარღალავა (2ქ)

შსს: ვონი (9ქ,8მ), ლეჟავა (13ქ), ბოქოლიშვილი (9ქ), ლონდარიძე (2ქ), ფრევითი (5ქ,10მ), იმნაძე (1ქ), ლომოური, ანთაძე, არჩიბეკი (16ქ)

დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის გამარჯვებული თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმიაა". კოტე ტულუშის გუნდმა ფინალურ მატჩში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია დაამარცხა და დადიანის თასი არსებობის ორნლიან ისტორიაში პირველად მოიგო. აქამდე არმიელებს ამ ტურნირის გარდა ყველა მოგებული ჰქონდათ და კოლექციას ესეც შემატეს.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არმიელებმა დუდუ დადიანის მემორიალში მონაწილეობა პირველად მიიღეს.

მატჩის საწყისი სამი მეოთხედი

თანაბარი იყო. „არმიამ" ბოლო პერიოდში მოახერხა შსს-ს გატეხვა და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია – 68:57.

პირველი ტაიმი თავდაცვის სამინისტროს გუნდმა 2 ქულით, 16:14 მოუგო მეტოქეს. მესამე პერიოდში კი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და ტაბლოზე საყაიმო ანგარიში 39:39 დაფიქსირდა, ხოლო მეოთხე პერიოდი გადამწყვეტი აღმოჩნდა, სადაც უპირატესობა „არმიამ" მოიპოვა და პერიოდში 29:18 იმარჯვა.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელად ლაშა გამყრელიძე დაასახელეს, რომელსაც საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გადასცა.

გამარჯვებულ გუნდს კი „დუდუ დადიანის სახელობის თასი" დუდუ დადიანის ძმისშვილებმა, სანდრომ და ნიტამ გადასცეს.

რაც შეეხება კალათბურთელთა მონაგარს, „არმიის" რიგებში 13 ქულა ლაშა გამყრელიძის ანგარიშზეა, 14 ქულა კი კურტის მილაჟმა დააგროვა.

შსს-ს რიგებში ყველაზე მეტი 16 ქულა კირკ არჩიბეკმა, 13 ქულა კი ბესიკ ლეჟავამ ჩაიწერა აქტივში.

სულ მალე, „არმიას" სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს, რომელიც 6 ნოემბრიდან ევროჩელენჯის თასზე იასპარეზებს.

მატჩის შემდეგ

კოტე ტულუში:

– მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ დუდუ დადიანის მემორიალში, რომელიც ჩვენთვის კარგი მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა. აღნიშნულ ტურნირში პირველად მივიღეთ მონაწილეობა და მოხარულნი ვართ ამ გამარჯვებით. შსს აკადემიის სახით ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა, თუმცა, ვფიქრობ ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც სამომავლოდ გამოსასწორებელი გვაქვს. რაც შეეხება სუპერლიგის ახალ სეზონს , ვფიქრობ წინ საინტერესო სეზონი გველოდება, ყველა გუნდი ეცდება ჩვენი, როგორც ჩემპიონი გუნდის დამარცხებას. მომავალ ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერი გუნდები იასპარეზებენ, ამიტომ ვფიქრობ ძალიან მალე უნდა შევიდეთ სათამაშო ფორმაში.

ლაშა გამყრელიძე:

– ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ. სამი პერიოდს განმავლობაში გუნდებს შორის უთანასწორო ბრძოლა მიდიოდა, თუმცა ბოლოში მაინც ვძლიეთ მეტოქეს. ამ ეტაპზე მთელი ყურადღება „ევროჩელენჯზე" გვაქვს გადატანილი და ვფიქრობ ჩვენმა გუნდმა კარგი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა. რა თქმა უნდა, დადიანის მემორიალში ასპარეზობა და გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო პირადად ჩემთვისაც, ვინაიდან საუკეთესო კალათბურთელად დამასახელეს.

გეორგის კეცელიდისი:

– უპირველეს ყოვლისა, ვულოცავ „არმიას" ამ გამარჯვებას, რაც შეეხება ჩვენს გუნდს, სამი მეოთხედის განმავლობაში მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ და მოგების რეალური შანსიც გვქონდა, თუმცა გადამწყვეტ პერიოდში ჩვენმა ბიჭებმა ვერ შეძლეს „არმიის" კალათბურთელების, კურტის მილიჯის და ანატოლი ბოისას შეჩერება, რომლებმაც მნიშვნელოვანი სამქულიანები ჩააგდეს.

საქართველომ წელი მარცხით დაასრულა

ბელარუსი – საქართველო 2:0

მინსკი. დინამოს სტადიონი

1:0 ბრესანი (6), 2:0 დრაგუნი (28)

ბელარუსი: ვერემკო, დრაგუნი, გლები, ბრესანი (ვოლოდკო 85) პავლოვი (კისლიაკი 83) პოლიაკოვი, ტიგორევი, ვერხოვცევი, ბორდაჩოვი, როდიონოვი (ჩუხლეი 90), ფილიპენკო

საქართველო: რევიშვილი, გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, დაუშვილი, კანკავა, თარგამაძე (ყენია 75), ოქრიაშვილი (ანანიძე 49), კობახიძე, დევდარიანი (მჭედლიძე 46)

ბელარუსმა დამსახურებულად მოგვიგეს და უფრო უკეთ რომ გარჯილიყვნენ, გაცილებით დიდი ანგარიშით შეეძლოთ მოგება. საქართველომ მხოლოდ პირველი ტაიმის ბოლო ნუთებში შეძლო ორიოდე მომენტის შექმნა და სულ ეს იყო. მეტოქემ გუნდური თამაშითაც დაგვჯაბნა და ფეხბურთელების ოსტატობითაც.

არადა, „ჯვაროსნები" შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ – ჩვენებმა ფინეთთან ქულა აიღეს, მანამდე ბელარუსიც დამაცხებული ჰყავდათ, რომელთაც ამ მატჩამდე ქულა არ ჰქონდათ. ასე რომ ფსოქოლოგიურ უპირატესობას ფლობდნენ. ამის გარდა, მასპინძლებს მოგების გარდა სხვა შანსი არ ჰქონდათ – ისედაც დიდი რისხვა დაატყდათ თავს და კიდევ ერთ ცუდ თამაშს არც გუნდს და არც მთავარ მწვრთნელ გეორგი კონდრატიევს არავინ აპატიებდა.

მართალია, თემურ ქეცბაიამ ისიც განაცხადა, რომ მინსკში გამარჯვება სურდა, მაგრამ სურვილის შესრულებას მარტო ჩანაფიქრი არ შველის. საქართველოს ნაკრებმა ერთ-ერთი ყველაზე უსახური თამაში აჩვენა.

ფინეთთან ჩატარებული მატჩისგან ქეცბაიამ სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოახდინა გამოკვეთილი ფორვარდის, ლევან მჭედლიძის ნაცვლად, დავით დევდარიანი დააყენა, რომელიც უფრო შემტევი ნახევარმცველია, თუმცა დანიურ „ორხუსში" ხანდახან ცენტრფორვარდის პოზიციაზეც ირჯება. სხვა მხრივ, განლაგებაც და შემადგენლობაც იგივე იყო.

ძნელია იმის თქმა, რომ ქართველები უკეთესად ითამაშებდნენ სწრაფი გოლი რომ არ გაეშვათ. გუნდმა მაშინაც უნდა მოახერხოს კონცენტრაცია, როდესაც აგებს, მაგრამ როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჯერ ამის გაკეთება არ შეუძლიათ. მეტიც, მაგალითს უფრო გამოცდილები უნდა იძლეოდნენ, მაგრამ რა მაგალითზეა საუბარი, როდესაც ზედიზედ მეორე მატჩი ყველაზე გამოცდილი ზურაბ ხიზანიშვილი ცდება და გოლებიც სწორედ მის გამო გადის.

მე-6 წუთზე ხიზანიშვილის უხეშ შეცდომას მოჰყვა გოლი – მეტოქის შეტევის დროს, იმის ნაცვლად, ბურთი მარტივად მოეგერიებინა კუთხურზე, მისი გაჩერება მოინდომა და სტანისლავ დრაგუნთან ორთაბრძოლაში დაკარგა, რითაც კარგა ისარგებლა წარმოშობით ბრაზილიელმა რენან ბრესანმა და ანგარიში გახსნა – 1:0.

გატანილმა გოლმა მასპინძლებს ფრთები შეასხა და უპირატესობას დაეუფლნენ, თუმცა სერიოზულ ხიფათამდე საქმე არ მიდიოდა. ერთადერთი გამოსარჩევი იმავე ბრესანის მოჭრილი დარტყმა იყო, რომელიც ოდნავ ასცდა კარს.

28-ე წუთზე, ბრესანმა უკვე საჯარიმო შეასრულა და დრაგუნმა, რომელიც კარის წინ ხიზანიშვილმა და დაუშვილმა უყურადღებოდ დატოვეს, ახლო მანძილიდან თავით ზუსტად დაარტყა – 2:0.

ამის შემდეგ თავის გამოჩენა ვიტალი როდიონოვს შეეძლო, რომელიც თითქმის პირისპირ დარჩა ნუკრი რევიშვილთან, მაგრამ გია გრიგალავა წამოეწია და ხიფათი განმუხტა.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრები ტაიმის ბოლოს გააქტიურდა და ანგარიშის შემცირება შეეძლო. თორნიკე ოქრიაშვილმა, საუცხოო სოლო რეიდი განახორციელა, რამდენიმე ბელარუსი ფეხბურთელი მოატყუა, მაგრამ ბოლო მომენტში დრაგუნმა დარტყმა არ აცადა და ბურთი კუთხურზე მოიგერია, რომელიც დავით თარგამაძემ პირდაპირ კარში გაგზავნა – სერგეი ვერემკო მისწვდა ბურთს, შემდეგ ძელს მოხვდა და მოედანზე დაბრუნდა. ბოლო წუთზე კი იმავე თარგამაძემ შეასრულა სტანდარტული, მაგრამ ბელარუსთა მეკარემ, ახლო კუთხეში წასული ბურთი მოიგერია.

შესვენებაზე დევდარიანი ლევან მჭედლიძემ ჩაანაცვლა, ხოლო 3 წუთში ოქრიაშვილი შეცვალა ჯანო ანანიძით. თუმცა ამით ქართველთა შეტევებს სიმწვავე არ მომატებია. პირიქით, რამდენჯერმე გადაჯვრჩით.

ალექსანდრ პავლოვმა ბურთი თავისი ნახევრიდან ატარა და როდიონოვი რევიშვილს შეატოვა, მაგრამ ბელარუსთა ფორვარდმა სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა. ცოტა ხანში, იმავე პავლოვის პასის შემდეგ, როდინოვის დარტყმული ბურთი გვერდით ძელს მოხვდა.

ბოლო წუთებში ქართველებმა ვერც შტურმის მაგვარი მოაწყვეს, თავი აღარც ბელარუსებს მოუკლავთ და მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. თუმცა, ეს სიმშვიდე ბოლო წუთებში შეხლა-შემოხლამ დაარღვია, რის შედეგად მსაჯს ორი ქართველისა და ერთი ბელარუსი ფეხბურთელის გაფრთხილება მოუხდა.

მიმდინარე წელი, ქეცბაიას შეგირდებმა მარცხით დაასრულეს. მომავალი თამაში კი, გაისად, 22 მარტს, სტუმრად, საფრანგეთთან ელით.

მატჩის შემდეგ

თემურ ქეცბაია:

– ვულოცავ ბელორუსის ნაკრებს მოგებას. მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. მაყურებლისთვის საინტერესო მატჩი გამოვიდა – ორივე გუნდმა ბევრი მომენტი შექმნა. შეხვედრის დაწყებამდე გვეგონა, რომ ქულებს ავიღებდით ამ მატჩში. როცა 0:1-დან იწყებ, ყოველთვის ძნელია. ჩემი ფეხბურთელების მონდომებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ დაცვაში დაშვებული ბავშვური შეცდომებით უკმაყოფილო ვარ, რის გამო დავისაჯეთ კიდეც. მარცხის მიუხედავად, ჩვენი ამოცანა კვლავ მესამე ადგილისთვის ბრძოლაა.

თორნიკე ოქრიაშვილი:

– რა თქმა უნდა, დამწუხრებულები ვართ, რადგან სექტემბერში ბელორუსები დამარცხებული გვყავდა, თუმცა მაშინ მეტოქეს გუნდს გლები არ ჰყავდა. ახლა კი ის მოედანზე იყო, რაც მატჩზეც აისახა. გლები რომ არ ყოფილიყო, დადებითი შედეგის მიღწევის კარგი შანსი გვექნებოდა. პირველი ტაიმის ბოლოსკენ კარგი მომენტი მქონდა, მაგრამ გატანა ვერ მოვახერხე. შესვენების შემდეგ კი მალე შემცვალეს, რამაც ძალიან გამანაწყენა. მწვრთნელს ეგონა, რომ ტრავმა მქონდა, სინამდვილეში კი არაფერი მჭირდა, ამიტომ მეწყინა მოედნის დატოვება. მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიამ გვითხრა, რომ ცხვირები არ ჩამოგვეშვა. მეორე ადგილზე გასვლა ძნელი იქნება, თუმცა მესამე პოზიციისთვის ვიბრძოლებთ.

გეორგი კონდრატიევი:

– მინდა მივულოცო იმ ხალხს, ვინც მხარს გულწრფელად გვიჭერდა და ასევე, ჩემ თანაშემწეებს, რომლებმაც გუნდი ასე მოკლე ხანში მოამზადეს. გამახარა მოედანზე ბიჭების მონდომებამ და გამარჯვების სურვილმა. სიმართლე გითხრათ, ჩემი გადადგომის შესახებ არაფერი წამიკითხავს, მაგრამ ამის შესახებ, გავიგე. მწვრთნელი გადადგომისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს და ამის გამო, ისტერიკაში არ უნდა ჩავარდეს. მე და ჩემი თანაშემწეები სათამაშო სქემაზე დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდით. სადღაც დილის ხუთ საათზე დავიძინე. გადავწყვიტეთ, რომ უპირატესობა შემტევი ფეხბურთელებისთვის მიგვენიჭებინა. როდესაც გუნდი 2:0-ს იგებს და ამოცანას ასრულებს, რაიმეს შეცვლას აზრი არ აქვს. სათადარიგოთა სკამიდან ინციდენტი ვერ დავინახე, მაგრამ გუნდი როდესაც იგებს, შეხლა-შემოხლა საჭირო არ არის. ეს არასწორია, ამ დროს უნდა მოითმინო. უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში, ოფიციალური თამაშების არქონის გამო, ყველა ერთნაირ მდგომარეობაში ვართ. ნოემბერში თამაში არ გვექნება და შევეცდებით, მარტში ამხანაგური მატჩი დავგეგმოთ. ცხადია, მესმის, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ტვირთი მძიმეა. თუმცა, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აქამდეც მიმუშავია.

ჩვენს ჯგუფში ცენტრალური მატჩი გაიმართა – ესპანელები შინ ფრანგებს დაუხვდნენ.

ესპანეთი – საფრანგეთი 1:1

1:0 რამოსი (25), 1:1 ჟირუ (94)

ესპანეთი: კასილასი, რამოსი, არბელოა (ხუანფრანი 50), ალბა, ბუსკეტსი, ალონსო, სილვა (კასორლა 13), ინიესტა (ტორესი 75), ხავი, ფაბრეგასი, პედრო

საფრანგეთი: ლორისი, დებუში, ევრა, კოსიელნი, საჰო, კაბაი, მატუიდი, მენეზი (სისოკო 68), გონალონი (ვალბუენა 57), რიბერი, ბენზემა (ჟირუ 88)

მატჩში ანგარიში ესპანელებმა გახსნეს. 25-ე წუთზე კუთხურის შემდეგ სერხიო რამოსის თავური ძელს მოხვდა, ესპანელთა შეტევა გაგრძელდა, ბურთი ისევ რ[illegible]ოსს მიუვიდა და მანაც უგო ლორისს ახლო მანძილიდან გაუტანა.

პირველ ტაიმში კიდევ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ჟერმი მენეზს გოლი მოგონილი ოფ[illegible]იდის გამო გაუუქმეს, ლორენ კოსიელნის უხეშობის შემდეგ დანიშნული პენალტი ლორისმა ფაბრეგასს აუღო.

დიდიე დეშამის გუნდმა თავისი ნამდვილ[illegible] ძალა მე-2 ტაიმში აჩვენა. სტუმრებმა კი მეტოქის კართან არაერთი ხიფათი შექმნეს და მართალია, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში, მაგრამ გარჯა მაინც დაუფასდათ – 94-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, ფლანგიდან შეტევაში ფრანკ რიბერი ჩაერთო, მის ჩაწოდებულს კი შეცვლაზე ცოტა ხნის წინ შესული ოლივიე ჟირუ დაუხვდა – 1:1

საბუნებო ცხრილი:

1.ესპანეთი	3	2	1	0	6:1	7
2.საფრანგეთი	3	2	1	0	5:2	7
3.საქართველო	4	1	1	2	2:4	4
4.ბელარუსი	4	1	0	3	3:8	3
5.ფინეთი	2	0	1	1	1:2	1

მოამზადა მიხეილ ჟ[illegible]ლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

მრ-2014. მესამე ჩავლა ეტაპი

ევროპა

რუსეთი-აზერბაიჯანი	1:0
ბელარუსი-საქართველო	2:0
ისრაელი-ლუქსემბურგი	3:0
ანდორა-ესტონეთი	0:1
ლატვია-ლიხტენშტეინი	2:0
ბოსნია-ლიტვა	3:0
კვიპროსი-ნორვეგია	1:3
რუმინეთი-ჰოლანდია	1:4
უკრაინა-ჩერნოგორია	0:1
ფარერები-ირლანდია	1:4
ხორვატია-უელსი	2:0
ჩეხეთი-ბულგარეთი	0:0
ისლანდია-შვეიცარია	0:2
მაკედონია-სერბეთი	1:0
სან მარინო-მოლდოვა	0:2
სლოვაკეთი-საბერძნეთი	0:1
ავსტრია-ყაზახეთი	4:0
ალბანეთი-სლოვენია	1:0
ბელგია-შოტლანდია	2:0
გერმანია-შვედეთი	4:4
იტალია-დანია	3:1
ესპანეთი-საფრანგეთი	1:1
პორტუგალია-ჩრ.ირლანდია	1:1

სამხრეთ ამერიკა

ბოლივია-ურუგვაი	4:1
ვენესუელა-ეკვადორი	1:1
პარაგვაი-პერუ	1:0
ჩილე-არგენტინა	1:2

ჩრდილოეთ

ჰონდურასი-კანადა	8:1
კუბა-პანამა	1:1
აშშ-გვატემალა	3:1
იამაიკა-ანტიგუა	4:1
კოსტა რიკა-გაიანა	7:0
მექსიკა-სალვადორი	2:0

აზია

ყატარი-უზბეკეთი	0:1
ომანი-იორდანია	2:1
ერაყი-ავსტრალია	1:2
ირანი-კორეა	1:0

ამხანაგური მატჩები

სინგაპური-ინდოეთი	2:0
ბრაზილია-იაპონია	4:0
ვიეტნამი-ინდონეზია	0:0
ჰონკონგი-მალაიზია	0:3
კუვეიტი-ფილიპინები	2:1
ეგვიპტე-ტუნისი	0:1
კენია-ს.აფრიკა	1:2
კოლუმბია-კამერუნი	3:0

ევრ-2013 (21). პლეი ოფი

რუსეთი-ჩეხეთი	2:2
შვეიცარია-გერმანია	1:3
ნორვეგია-საფრანგეთი	5:3
სერბეთი-ინგლისი	0:1
შვედეთი-იტალია	2:3
დანია-ესპანეთი	1:3

ჩოგბურთი

ატპ. სტოკჰოლმი. ჰარდი

სოედა-ტეიშეირა	6:3;3;6;6:3
ბაგდატისი-გოფინი	6:4;6;2
ანდერსონი-ჰიუიტი	4:6;6:4;4:6
კოპილი-დელბონისი	6:1;7:5
მონფილსი-როსენჰოლმი	3:6;6:1;3:6

ვტა. ლუქსემბურგი. ჰარდი

გერგესი-სოლერ ესპინოსა	6:2;6:1
დომინგეს ლინო-მალეკი	7:6;6:1
უილიამსი!ვ.-ბენჩიჩი	6:3;6:1
ფლიპკენსი-ლისიცკი	3:6;6:3;6:1

ვტა. მოსკოვი. ჰარდი

პეტროვა-პალეპი	6:3;5:7;5:7
შაფარჟოვა-ზაკოპალოვა	4:6;4:6
სვიტოლინა-სოლოვიევა	4:6;2:6

2012, 18 ოქტომბერი, №248

მწარე გაკვეთილი დანიელებისგან

საქართველო-დანია 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 აგერი (39), 0:2 ბეხი (66)

საქართველო: ნადირაძე, ტვილდიანი, კობახიძე (ხოჭოლავა 46), კვეკვესკირი, თედო გრიგალაშვილი (ჯგერენაია 46), ჩაფიძე (ჩელებაძე 76), პაპავა (გაგნიძე 83), პარუნაშვილი (სტეფნიაშვილი 46), ყაზაიშვილი (კირკიტაძე 46), ჭანტურია, სხირტლაძე (ქობალია 73)

დანია: ი.იენსენი, რემერი, დუმიჩი (რომერი 60), ლარსენი, კუოდსენი (ლერაგერი 60), პედერსენი, ბეხი, სემოუ, აგერი (გერტი 72), მენსანი (მადსენი 46), რიტერი (იარიდი 72)

გაძევება: ტვილდიანი (90), მადსენი (90)

ერთი წლით უმცროსმა სკანდინავიელებმა პირწმინდად აჯობა ჩვენს ახალგაზრდებს. არ გაგიკვირდეთ – დანიის 21-წლამდელთა ნაკრები იმავე დღეს 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს თამაშობდა ესპანელ თანატოლებთან. მართალია, ჩვენი გუნდის შემადგენლობაშიც არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც შედარებით უმცროსები არიან, მაგრამ ეს ვერანაირ გამართლების უფლებას ვერ მოგვცემს.



გუნდს არ ეტყობოდა მწვრთნელის ხელი – ამ კუთხით დანიელები სოლიდურად გამოიყურებოდნენ. ჩვენები მხოლოდ გიორგი ჭანტურიას სოლორეიდებზე იყვნენ დამოკიდებული და აქაც არაფერი გამოსდიოდათ.

დასაწყისი თითქოს კარგი იყო, მაგრამ სკანდინავიელები მალევე დალაგდნენ და დაგვანახეს რომ ფეხბურთი სხვანაირად უნდა ვითამაშოთ. ერთ-ერთი მარტივი, მაგრამ სისწრაფეში შექმნილი კომბინაციის შემდეგ კი, მიკელ აგერმა შანსი გამოიყენა – 0:1.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა, დანიელებმა სივრცეები კარგად გადაუკეტეს ჩვენებს, მწყობრად თამაში ვააგრძელეს და მალევე პენალტის უფლებაც მოიპოვეს, რომელიც დაზარალებულმა ბეხმა თავად გამოიყენა – 0:2.

და მაინც, ერთი ბურთის გაქვითვის შანსი გვქონდა, როცა ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ხოჭოლავამ დაჰკრა თავი და დანიელთა მეკარემ სასწაული ბურთი მოიგერია.

მატჩის ბოლოსვე იყო შეხლა-შემოხლა, რაც ორი გაძევებით დასრულდა.

მატჩის შემდეგ:

ალექსანდრე ჩივაძე:

– მეხუთე მატჩი იყო ჩემი მწვრთნელობით და წაგება არ გვქონდა. სამწუხაროდ, დავმარცხდით. ჩვენ ამ ხუთ შეხვედრაში სულ სხვადასხვა შემადგენლობით ვთამაშობდით. სელექცია უწყვეტი პროცესია. მომდევნო შესარჩევისთვის მონახაზი უნდა გავაკეთოთ და ამიტომაც, ეს მატჩი ნაყოფიერი იყო ჩვენთვის. სწორედ ასეთ შეხვედრებში ჩნდება ფეხბურთელის სიძლიერე. ტრაგედია არ უნდა შევქმნათ ამ წაგებით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნიკოლოზ რურუამ ბოლო პროექტი წარადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ კულტურის სამინისტროში ბოლო პროექტის პრეზენტაცია გამართა და თანამშრომლებსაც დაემშვიდობა.

სამინისტროში XX საუკუნის ცნობილი ქართველი ხელოვანის, გრაფიკოსის, ფერმწერის, ილუსტრატორისა და თეატრის მხატვრის სერგო ქობულაძის ალბომის პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ რურუა, მხატვრის ოჯახის წევრები, მხატვრები, მნერლები და მინწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

როგორც ალბომის პრეზენტაციაზე ითქვა, ეს ალბომი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოიცა. მასში თავმოყრილია სერგო ქობულაძის მიერ შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა წიგნების ილუსტრაციები, თეატრის მხატვრობის ამსახველი ესკიზები და ხელოვანის მიერ შესრულებული სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევრები.

– სერგო ქობულაძის ახალი ქართული ხელოვნების წარმომადგენლის შემოქმედება ქართული გრაფიკის, თეატრის მხატვრობისა და ფერწერის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სერგო ქობულაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა იმ პირველ თაობას ეკუთვნის, რომელმაც საქართველოში სახვითი ხელოვნების არაერთი დარგის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. საკმაოდ ღირებული და დასამახსოვრებელია სერგო ქობულაძის მოსაზრება: „თუ ტექნიკა ოსტატობამდე ავიდა, იგი ხელოვნების ეკვივალენტურია, მაგრამ ტექნიკის სრულყოფილი ცოდნა მაინც არ ქმნის ხელოვნებას, ისევე, როგორც მარტო ნიჭი არ ქმნის ხელოვნების ნიმუშს“, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

სერგო ქობულაძის ალბომის კატალოგის პრეზენტაციის შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ რურუა თავის მოადგილეებთან ერთად კულტურის სამინისტროს თანამშრომლებს დაემშვიდობა. კულტურის მოვალეობის შემსრულებელმა დეტალურად ისაუბრა იმ სამუშაოების შესახებ, რომელიც მისი მინისტრობის პერიოდში განხორციელდა და მან ამ მუშაობას ნაყოფიერი უწოდა, ხოლო ახალ მინისტრს კი წარმატებები უსურვა.

– მომავალ მინისტრს წარმატებებს ვუსურვებ. იმედია, ხელოვანები იმ სტანდარტს არ დაწევენ, რაც აქამდე მოვიტანეთ. თუკი სტანდარტი დაიწევა, ხელოვნებას ეს მნიშვნელოვნად დაეტყობა და დაიკლდება. ჩვენ ჯოჯოხეთურ რეჟიმში ვმუშაობდით, – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ნიკოლოზ რურუას კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის თანამდებობაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული კანდიდატი მწერალი გურამ ოდიშარია შეცვლის.

კონსერვატორიაში ჰაიდნის და ლისტის ნაწარმოებებს დაუკრავენ

ეკა ირემაშვილი

21 ოქტომბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართება, სადაც იოზეფ ჰაიდნისა და ფერენც ლისტის ნაწარმოებები აჟღერდება.

საფორტეპიანო და სავიოლონჩელო კონცერტზე დაუკრავს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი პიანისტი თამარ ლიჩელი და მოზარდი ნიჭიერი ვიოლონჩელისტი სანდრო სიდამონიძე.

როგორც ოპერისა და თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აცხადებს, კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია, პირველ განყოფილებაში მსმენელის წინაშე წარსდგება სანდრო სიადმონიძე, ხოლომ ეორე განყოფილებაში უკვე თამარ ლიჩელი დაუკრავს. კონცერტს წარუძღვება იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

– სანდრო სიდამონიძე 15 წლისაა. იგი შვიდი წლის ასაკიდან ეუფლება ჩელოზე დაკვრას ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ გიმნაზიაში პეტრე ბაგრატიონ-დავითაშვილის კლასში, ადრეული ასაკიდან მართავს კონცერტებს და მონაწილეობს კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც საქართველოში და საზღვარგარეთ. მის შემოქმედებით კარიერაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ჯილდო უკვე არსებობს – მოიპოვა სპივაკოვის პრიზი, გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონკურსზე და გადაეცა გერმანიის საელჩოს პრიზი, ვილნიუსში მონაწილეობა მიიღო სანდრა ელისაბედ რულოვსის საქველმოქმედო კონცერტში. ამავე წელს მინწვეული იყო ლონდონში პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის რეზიდენციაში კონცერტში მონაწილეობის მისაღებად, გახდა „ამერიკან პროტეჟეს“ გამარჯვებული და წარსდგა კარნეგი ჰოლის სცენაზე, მონაწილეობდა თელავის მუსიკის ფესტივალში. გასულ წელს გახდა დომბროვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატი, წელს კი მონაწილეობდა ბერლინში „კამერტონის“ მიერ ორგანიზებულ კონცერტებში. სანდრო სიდამონიძეს გავლილი აქვს მასტერ-კლასები ნატალია გუტმანთან. წელს გაიარა მასტერ-კლასები გერმანიასა და ავსტრიაში პროფესორ ვენ სინ-იანთან, – ნათქვამია ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„სიყვარული აქცენტით“ თბილისის კინოთეატრებში გამოდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რუსი რეჟისორის ნიკიტა მიხალკოვის სიძეა, მას ცოლად ნადეჟდა მიხალკოვა ჰყავს. ფილმის მოსკოვური პრემიერა უკვე გაიმართა, რომელსაც წინ უძღოდა ქართველი კინორეჟისორის ნამუშევრის დახურული ჩვენება. ეს არის კომედიური ჟანრის ფილმი, რომელიც სავსეა რომანტიკული თავგადასავლებით, მისი პრემიერა მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში კინოთეატრ „ოქტომბერში“ შედგა.

– ამ ფილმში ჭეშმარიტი სიყვარულის შვიდი ისტორიაა მოთხრობილი, სწორედ ამიტომ ფილმი შვიდ ნოველაზეა აგებული, რომლებიც მთლიანობაში ერთ დიდ სასაცილო და კომედიურ ისტორიას კრავს და მაყურებელს არწმუნებს იმაში, რომ სიყვარულმა არ იცის არც ეროვნება, არც საზღვრები და არც კანონები. ფილმში შვიდი ზღაპული ამბავია იმის შესახებ, რომ თუკი ადამიანებს ერთმანეთი ნამდვილად უყვართ, ისინი ან იდიოტები ხდებიან, ან ჯადოქრები, ან ორივენი ერთად, – ასე აფასებს რეზო გიგინეიშვილის ნამუშევრს რუსული პრესა.

რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი სიძის ნამუშევარს სიტყვაძუნწად აფასებს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ:

– ფილმი მომეწონა. თუმცა რამდენად მკაცრი ვარ რეზოს მიმართ, ეს თავად მას ჰკითხეთ. რეზომ თავის გზით უნდა იაროს.

რეზო გიგინეიშვილი არ მალავს, რომ რჩევისთვის სიმამრს ხშირად მიმართავს.

– როცა ფილმზე ვმუშაობ, სცენარისა თუ მონტაჟის თაობაზე რჩევას მას ხშირად ვეკითხები. ძალიან ვაფასებ მის აზრს, რადგან დიდი პროფესიონალია, – აცხადებს ქართველი რეჟისორი.

რუსული პრესა იმასაც წერს, რომ რეზო გიგინეიშვილმა თავისი ფილმისთვის სპეციალურად შეარჩია კინოში მოღვაწე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები, რომ ამ გზით თავისი ნამუშევრისკენ საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. ცნობილი რუსი კინომსახიობების ნადეჟდა მიხალკოვას, ნიკიტა ეფრემოვის, სვეტლანა ბონდარჩუკის, ფილიპ იანკოვსკის და ანა მიხალკოვას გარდა, რეზო გიგინეიშვილის ნამუშევარში სოფო ნიჟარაძე, მერაბ ნინიძე, გია ჯაფარიძე, თამარ სხირტლაძე, გიორგი ყიფშიძე, თინათინ დალაქიშვილი, მიშა მესხი, გია გოგიშვილი, დუტა სხირტლაძე, ონისე ონიანი, ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე მონაწილეობენ. სწორედ ამ ფილმის გადაღებების შემდეგ გაჩნდა ქალაქში ჭორი, რომ ბუბა კიკაბიძემ ნანი ბრეგვაძე ცოლად მოიყვანა, რადგან ფილმში ისინი ცოლ-ქმარი არიან და ქორწილიც აქვთ. ახალი რუსულ-ქართული ფილმის პროდიუსერი არჩილ გელოვანია, ხოლო სცენარი დათო ტურაშვილმა დაწერა.

საქართველოს კინოთეატრებში მისული მაყურებელი კინოთეატრების ეკრანზე ნახავს მოდურ წყვილს განქორწინების ზღვარზე, მოკრძალებულ პერსონაჟს – ჰელგას, რომელიც ოცნების მამაკაცის საპოვნელად ჩამოდის, ორ შეყვარებულს, რომლებიც მკაცრ მშობლებს გაურბიან. რეზო გიგინეიშვილის ფილმში მთავარი აქცენტი სიყვარულზე და მის უცნაურობებზეა.

– მე ჯერ შემიყვარდა და მერე დავინახე, – ასეთი ფრაზა აქვს ფილმში რეჟისორის მეუღლის ნადეჟდა მიხალკოვას გმირს.

– ეს არის 7 ნამდვილი სიყვარულის ამბავი: გამორჩეული და ვნებიანი, მონიფული და დაუნდობელი, ბედნიერი და არც ისე. აღფრთოვანებული ვარ ფილმის ხარისხით, – ასე აფასებენ ქართველი რეჟისორის ნამუშევარს რუსი მაყურებლები.

ფილმის მუსიკალურ მხარეზე კომპოზიტორმა დათო ევგენიძემ იზრუნა. მთლიანობაში ფილმი დატვირთულია ქართული მუსიკით და მის პრემიერაზე შესაძლებლობა ეძლევათ კინომოყვარულებს მოისმინონ ნინო ქათამაძე და გია ყანჩელი. ფილმის საუნდტრეკი საქართველოში „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა. „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში დათო ევგენიძე, ნიკა რაჭველი და რეზო გიგინეიშვილი საქართველოს ერვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეიკრიბნენ. ჩაიწერა გია ყანჩელის, დათო ევგენიძის და ნიკა რაჭველის ნაწარმოებები. ეს რეზოს მეხუთე ფილმია. ფილმის გადაღებები თბილისში, ბათუმში, კახეთში და ყაზბეგში მიმდინარეობდა.

რუსეთში გამართულ პრემიერას ნიკიტა მიხალკოვი არ დაესწრო, ხოლო ტატიანა მიხალკოვამ კინოთეატრის პრემიერის დასრულებისთანავე დატოვა. რუსული პრესის ყვითელმა გამოცემებმა ეს ფაქტი მაშინვე შეამჩნიეს და განაცხადეს, რომ სიძესა და სიმამრს შორის შავმა კატამ გაირბინა. ფილმის ოფიციალური პრემიერა მისმა შემქმნელებმა რუსულ ტელესივრცეში ყველაზე სკანდალური ტელეწამყვანის ქსენია სობჩაკის რესტორანში იზეიმეს. ამ მხიარულებას არ შეერთებიან რეზო გიგინეიშვილის სიმამრი და სიდედრი, სამაგიეროდ, ქართველი რეჟისორის ნამუშევრის „დასასვლელად“ სობჩაკის ერსტორანში რუსული ელიტის ნამდვილი ვარსკვლავთცვენა მოენყო. განსაკუთრებით საპატიო სტუმართა სიაში აღმოჩნდა რუსული ესტრადის დივა ალა პუგაჩოვა, რომელიც ბოლო ხანს ელიტურ წვეულებებსა და საღამოებს თითქმის აღარ სწყალობს.

ჩამოვლენ თუ არა ქართულ პრემიერაზე რეზო გიგინეიშვილი და მისი მეუღლე თბილისში, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა როგორც საქართველოს კინოთეატრების ხელმძღვანელები აცხადებენ, ფილმი ნებისმიერი თაობის მაყურებელზეა გათვლილი და მას აუცილებლად ბევრი მაყურებელი ეყოლება.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ატმოსფერული ნალექი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. ლურჯი ფერი, ცის ფერი; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 16. რესტორანი საესტრადო პროგრამით; 18. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში.

თარაზულად: 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 8. თაღლითის, მატყუარას ქართული სახელწოდება; 12. ჰუნების წინამძღოლი; 13. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 15. ცისკრის ვარსკვლავის ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 21. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თემშარა; 2. ოდერი; 3. მერინოსი; 4. კორპუსი; 5. პანტომიმა; 9. მანათი; 12. წალკოტი; 14. სეზარი; 15. ლოქო; 17. მტილი; 18. ყაჭი.

თარაზულად: 6. ნევადა; 7. თეოლოგია; 8. უშქარი; 10. კუსტო; 11. სარწყუნისი; 13. ოსმალეთი; 16. ხანუმა; 19. ალკოჰოლი; 20. დილიჟანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გობი; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სოკერი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. ნოვარტისი; 14. სპა; 16. ოსტანი; 18. იგლუ.

თარაზულად: 1. გუთანი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სინთეზი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემისია; 17. ბრა; 19. კრიპტოგრამა; 20. ზესხო; 21. მუუუი.

ჰილარი კლინტონი პასუხისმგებლობას იღებს ბენღაზში ელჩის გარდაცვალების გამო

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებით, ის პასუხისმგებლობას იღებს ლიბიაში ამერიკის ელჩის კრის სტივენსის დაღუპვის გამო.

„მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც 11 სექტემბერს მოხდა“,– განაცხადა კლინტონმა.

„ბი-ბი-სის“ განცხადებით, კლინტონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ამერიკის პრეზიდენტი, ბარაკ ობამა და არც ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი არ იყვნენ ჩართულნი და ინფორმირებულნი ლიბიაში ამერიკის საელჩოს დაცვის უსაფრთხოებაზე.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტრაგიკულ 11 სექტემბრამდე, ლიბიაში ამერიკის საელჩოს თანამშრომლები დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდნენ საელჩოს დაცვის გაძლიერებას, რადგანაც ქვეყანაში ანტიამერიკული განწყობა ძლიერდებოდა.



ჯო ბაიდენმა წინა კვირას სატელევიზიო დებატებში განაცხადა, რომ თეთრი სახლი არ იყო ინფორმირებული ლიბიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

მედიის მოსაზრებით, ჰილარი კლინტონმა უბრალოდ აიცილა პასუხისმგებლობა როგორც პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ისე ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს, რადგანაც ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებამდე თვეზე ნაკლები რჩება.

თუმცა, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, ლიბიაში აშშ-ის ელჩ კრისტოფერ სტივენსონის დაღუპვაში დამნაშავე თავად არის.

წინასაარჩევნო დებატებზე მან ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმის ფაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ამით მან აუდიტორიის შეკითხვას უპასუხა იმაზე, თუ ვინ იყო დამნაშავე დიპლომატთა სუსტი დაცვის გამო. როგორც აღვნიშნეთ, 15 ოქტომბერს მომხდარის გამო პასუხისმგებლობა ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა აიღო. თუმცა, როგორც მისი შესაბამისი განცხადების კომენტირებისას ბარაკ ობამამ აღნიშნა, ჰილარი კლინტონი მასთან მუშაობს.

„მე პრეზიდენტი ვარ. მე ყოველთვის ვიღებ პასუხისმგებლობას“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

შეგახსენებთ, რომ ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა 12 სექტემბერს მოხდა. ტრაგედიას ელჩი კრისტოფერ სტივენსი და კიდევ ოთხი დიპლომატი ემსხვერპლა.

მარსზე პოლიეთილენის ნაგლეჯი აღმოაჩინეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სამეცნიერო ხელსაწყოა ჩამონტაჟებული, მათ შორის ხელსაწყო, რომელიც მარსის ზედაპირზე წყლის არსებობას იკვლევს.

მარსი (ძვ. ქართული სახელწოდება მარიხი), მეოთხე პლანეტაა სიშორით მზის სისტემაში. მას რომაული ომის ღმერთის მარსის სახელი ჰქვია (არესი ბერძნულ მითოლოგიაში). მას მეტსახელად „წითელი პლანეტა“ ჰქვია დედამიწიდან, ღამის ცაზე, მისი შეფერილობის გამო. მას ორი თანამგზავრი ჰყავს – ფობოსი და დეიმოსი – მცირე და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სხეულები, შესაძლოა მარსის გრავიტაციაში მოქცეული ასტეროიდები იყოს.

ჩინურ, კორეულ, იაპონურ და ვიეტნამურ კულტურებში პლანეტას მოიხსენიებენ როგორც ცეცხლოვან ვარსკვლავს, ძველი ჩინური ხუთი ელემენტის მითოლოგიურ ციკლზე დაყრდნობით.

პლანეტაზე თვეების განმავლობაში ქარიშხლები მძვინვარებს. პლანეტის ფერი მოწითალო, სისხლისფერია. ეს ფერი ძველ ბერძენთა და რომაელთა წარმოდგენაში ომთან და სისხლის ღვრასთან ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ, ბერძნები და რომაელები ამ პლანეტას ომის ღმერთთან აიგივებდნენ. მარსზე დაშვების პირველი წარმატებული მისია, 1965 წელს მარინერ 4-მა განახორციელა, რომელიც 1964 წელს გაუშვეს დედამიწიდან.

პლანეტაზე არის წარმონაქმნები, რომლებიც მდინარის ამომშრალ კალაპოტს გვაგონებენ. ამ კალაპოტებში წყალი არ არის. პლანეტის ზედაპირზე უამრავი ჩამქრალი ვულკანის კერა და მეტეორიტული კრატერებიც შეინიშნება. მთა ოლიმპი, რომელიც მარსზე მდებარეობს, ყველაზე მაღალი მთაა მზის სისტემაში – მისი სიმაღლე თითქმის 28 ათასი მეტრი, ანუ 28 კილომეტრია.

დღე-ღამის ხანგრძლივობა „წითელ პლანეტაზე“ თითქმის ისეთივეა, როგორც დედამიწაზე – 24 საათი და 39 წუთი. ყოველ 2 წელიწადსა 50 დღეში ხდება ისე, რომ მარსსა და დედამიწას შორის მანძილი 78 მილიონი კილომეტრია. თუმცა 15 ან 17 წელიწადში ხდება ისეც, რომ ეს მანძილი 56 მილიონ კმ-მდე მცირდება.

2003 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს დროით შუაღამისას, მარსი ბოლო 60.000 წლის მანძილზე დედამიწას ყველაზე მეტად მიუახლოვდა: 55.758.006 კმ.

იქაურ ზამთარში ტემპერატურა -130 გრადუსამდე ეცემა პოლუსებზე, ზაფხულში 0 გრადუსიდან 30 გრადუსამდე მერყეობს ეკვატორზე.

2040 წლისთვის ამერიკელებს დაგეგმილი აქვთ ექსპედიცია, რომლის დროსაც პირველი ადამიანი დაეშვება მარსზე.

ობამასა და რომნის მორიგი დებატები ფრედ დასრულდა

აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და „რესპუბლიკელთა“ კანდიდატი მიტ რომნი ერთმანეთს მორიგ სატელევიზიო დებატებში დაუპირისპირდნენ. პირველი რაუნდისგან განსხვავებით, სადაც რომნიმ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად გამოკითხულთა ხმები თითქმის თანაბრად გადანაწილდა, თუმცა ექსპერტებმა და მაყურებლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ობამას გამოსვლა პირველ რაუნდთან შედარებით ბევრად უფრო დამაჯერებელი იყო.

პირველი წუთებიდან დებატები ცხარე კამათში გადაიზარდა. მოწინააღმდეგეები ინტენსიურად ცდილობდნენ ერთმანთისთვის ხელის შეშლას და ტყუილში გამოჭერას

ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაზე კამათისას, მხარეებმა ერთმანეთი რამდენჯერმე დაადანაშაულეს უსამართლობასა და არაგულწრფელობაში. კითხვებს კანდიდატებს არა ტელეწამყვანები, ან პროფესიონალები არამედ ამომრჩევლები უსავამდნენ.

ბარაკ ობამამ მისი პრეზიდენტობის მიღწევებად ისეთი მაგალითები დაასახელა, როგორიც არის „ალ ქაიდას“ ლიდერ უსამა ბინ ლადენის სიკვდილი, საშუალო კლასისათვის გადასახადების შემცირება, ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის გადარჩენა და ჯანდაცვის რეფორმის გატარება.

ობამას განცხადებით, რომნი იცავს ნავთობის კომპანიის ინტერესებს და არა უბრალო ამერიკელებისას.

კანდიდატებმა ძირითადად ეკონომიკასა და უმუშევრობაზე იმსჯელეს. ობამამ რომნის მისი სკანდალური ფრაზა გაუხსენა ამომრჩეველთა 47%-ზე და განაცხადა, რომ რომნი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მხოლოდ მდიდართა ინტერესებს დაიცავდა. ამის საპასუხოდ რომნიმ ობამას ქვეყნის უზარმაზარ საგარეო ვალზე და უმუშევრობის დრამატულად მზარდ ტემპებზე მიუთითა. აღსანიშნავი იყო ასევე რომნის მოკლე მონოლოგი იმის თაობაზე, თუ რას გააკეთებდა იგი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში:

„თუ მე ამირჩევენ პრეზიდენტად, მე ავამუშავებ ამერიკას. მე შევძლებ აღვადგინო დაბალანსებული ბიუჯეტი. შევძლებ იმას, რაც პრეზიდენტმა ობამამ ვერ შეძლო. მე ვუზრუნველყოფ ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების რეფორმების გატარებას, რათა შევუნარჩუნოთ ისინი მომავალ თაობებს. პრეზიდენტი ამასაც დაგპირდათ, მაგრამ არ გააკეთა. მე შევძლებ გავზარდო შემოსავლები. მე შევძელი ეს როგორც გუბერნატორმა და ეს მეტყველებს იმაზე, რომ შევძლებ ეს გავაკეთო როგორც პრეზიდენტმა“.

ობამა და რომნი წინ კიდევ ერთი დებატები ელით, საპრეზიდენტო არჩევნები კი 6 ნოემბერს გაიმართება.

რაც შეეხება ობამას მიერ ნახსენებ რომნის სკანდალურ ფრაზას 47%-ის შესახებ, ლაპარაკია არჩევნების წინა პერიოდში გამოქვეყნებულ რომნის ფარულ ჩანაწერზე, სადაც ის აცხადებს, რომ ქვეყნის 47 პროცენტი აუცილებლად ობამას მისცემს ხმას, რადგან მათ არ გააჩნიათ შემოსავალი, არ გააჩნიათ პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და ფაქტობრივად, სახელმწიფოს „კისერზე სხედან“.

ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ მონაცემებით, მაყურებელთა 46%-მა საკუთარი სიმპათია ობამას მიმართ გამოხატა, ხოლო 39%-მა მხარი რომნის დაუჭირა. თითქმის იგივე სხვაობით გაიმარჯვა ობამამ სხვა ტელეკომპანიის გამოკითხვების მიხედვითაც.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ობამამ გაითვალისწინა პირველი დებატების შეცდომები და ამჟამად უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ დებატებში გამარჯვება სულაც არ ნიშნავს არჩევნებში გამარჯვებას, თუმცა ფაქტია, რომ ის გარკვეულწილად ახდენს გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

სხვადასხვა გამოკითხვების მიხედვით ორივე კანდიდატს არჩევნებში გასამარჯვებლად ჯერ-ჯერობით თანაბარი შანსი აქვს. დებატების ბოლო ტური 22 ოქტომბერს ბოკა-რატონში (ფლორიდის შტატი) გაიმართება და ის საგრეო პოლიტიკას მიეძღვნება. ერთ-ერთი უდიდესი მედიაკორპორაციის „ნიუს კორპის“ ხელმძღვანელის რუპერტ მერდოკის განცხადებით, ბარაკ ობამას ხელახალი არჩევა ამერიკის პრეზიდენტად, ისრაელისთვის კოშმარი იქნება.

– ობამას ხელახალი არჩევა ისრაელისთვის კოშმარი იქნება. ჯოზეფ ბაიდენმა უბრალოდ მოიტყუა იმის შესახებ, რომ ისინი უბრალოდ კარგ პერსონალურ დამოკიდებულებაში არიან ბენიამინ ნეთანიაჰუსთან, – წერს საკუთარ ტვიტერზე მერდოკი.

თალიბები ავღანეთში ნატო-ს ბაზას ისევ თავს დაესხნენ

ავღანეთის აღმოსავლეთ რეგიონში სამხედრო ალიანსის ბაზას ისევ თავს დაესხნენ. სატვირთო ავტომანქანის აფეთქება ავღანეთის არმიისა და ალიანსის ერთობლივ ბაზაზე მოხდა.

აფეთქებაზე პასუხსიმგებლობას თალიბების დაჯგუფება იღებს.

დაჭრილია რამდენიმე ავღანელი ჯარისკაცი, სავარაუდოდ, მსხვერპლი არ არის.

სამხედრო ალიანსის პრესსამსახურის ინფორმაციით, ორი დღის წინ კიდევ ერთი შეტაკება ალიანსსა და თალიბების დაჯგუფებას შორის ჰილმენდის პროვინციაში მსხვერპლით დასრულდა. დაღუპულთა შორის არიან ბავშვებიც.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში გაეროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა იან კუბისმა ავღანეთის ყველა პოლიტიკურ ძალასთან არაფორმალური დიალოგის დაწყების განზრახვის შესახებ გამოაცხადა, მათ შორის ანტისამთავრობო ძალებთანაც.

კუბისის თქმით, პირველი შეხვედრა ამ წლის ბოლოსათვის უნდა შედგეს. „ბი-ბი-სი-ს“ ცნობით, ამ წლის დასაწყისში თალიბებთან ოფიციალური მოლაპარაკებები შეიარაღებული მებრძოლების უარის გამო ვერ შედგა.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური ძალების არაფორმალური შეხვედრების ორგანიზებისათვის რამდენიმე მცდელობა განხორციელდა. ივლისში ავღანეთის საკითხზე ტოკიოში გამართულ კონფერენციაზე თალიბების ორი გამოჩენილი ფიგურა იღებდა მონაწილეობას.

ივნისში პარიზში გამართულ მსგავს ღონისძიებაზე კი ავღანეთის მთავრობისა და „თალიბების“ წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

ირანის პრეზიდენტი რეგიონში ერთიანი ვალუტის შემოღების მომხრეა

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, საჭიროა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციების პოლიტიკური ფორუმის შექმნა. ეს განცხადება ირანის პრეზიდენტმა ბაქოში ვიზიტისას გააკეთა.

აჰმადინეჯადის განცხადებით, საჭიროა რეგიონის ქვეყნებმა მიაღწიონ ეკონომიკურ თანამშრომლობას, შეიქმნას და განხორციელდეს ერთობლივი პროექტები სარკინიგზო, ავიაციისა და სახმელეთო ტრანსპორტირების სფეროებში, შეიქმნას ერთობლივი საბაჟო კანონმდებლობა და ერთობლივი ვალუტა.

„კოლონიზაციისა და კაპიტალიზმის მომხრეებმა თავისი ისტორია უკვე დასასრულეს. ჩვენ ახალი ისტორიის მშენებლობის დასაწყისთან ვდგავართ. დავეყრდნობით რა ერთ რელიგიასა და სულიერ ძმობას, შევქმნით ახალ სისტემას, რომელიც ჩვენს ხალხებს კეთილდღეობასა და სიმშვიდეში აცხოვრებს“, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა პრეზიდენტობის პერიოდში შეაჩერა ზოგიერთი ლიბერალური რეფორმა, რომელიც მისი წინამორბედების მმართველობას ახასიათებდა. აჰმადინეჯადის მმართველობა აღსანიშნავია მასშტაბური ენერგეტიკული რეფორმით. ამავე პერიოდში დაჩქარდა ირანის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა. აჰმადინეჟადის საგარეო პოლიტიკა კონსერვატიულ სახეს ატარებს. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას და გამოხატავს ირანის რუსეთთან და არაბულ სამყაროსთან ურთიერთობათა გაღრმავების იმედს. ცნობილია ისრაელის მისამართით წარმოთქმული არაერთი მკვეთრი განცხადებით. ხშირად უარყოფდა ჰოლოკოსტის ფაქტს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 18 ოქტომბერი

საზოგადოებრივი არხი 7.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 მოამბე 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 დოკ. ფ. 18.00 სერ. „პეპე და მეგობრები„ 19.05 სერ. „ცოდვა და სირცხვილი„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 „დიალოგი დ.პიჭაძესთან„ 23.00 ტოქ-შოუ „არენა„ 00.00 მხ.ფ. „სამახსოვრო დღიური„ 02.30 მხ.ფ.„მისტერ ვუდკოკი„ 04.00 მხ.ფ. „პენრი მეშვიდე„ 07.00 დოკ.ფ. „მსოფლიო ოდისეები„

მეორე არხი 08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დრო 11.00 დოკ.ფ. „უძველესი აღმოჩენები„. 8 14.00 დოკ.ფ. „ძველი საბერძნეთის გმირები - ოდისევსი„. 1 16.00 დოკ.ფ. „უძველესი აღმოჩენები„. 9 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ.ფ.„ჩრდილეების ქვეყანა

იმედი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00,13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.40, 05.00 ქრონიკა. 08.25 ან.ფ. „ტიმონი და პუმბა„ 09.25 სერ.„დათარსული კვირა„ 10.10 სერ. „ილლიანი მოახლე„ 11.45 სერ. „უკვდავი ამბავი„ 13.10 სერ „გაძცევა„ 14.45, 15.10 სერ. „თვალი არ მოგაცილო„ 16.10 სერ. „მოგზაურეგული„ 17.45 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 „ახალი ქართული ხმა„ 00.00 „რემონტი„ 01.05 მხ.ფ. „ძმები მეტოქეები„ (ა. გარსია) 02.55 მხ.ფ. „ალპიტან ალატრიტეს ცხოვრება„ (ე. ნორიეგა) 05.30 მხ.ფ.„მეცხრე ლეგიონი„ 07.20 მუსიკა.

რუსთავი 2 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ.„ძალის მსხვერპლი“. 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული“. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.00 კომედი შოუ 17.00 სერ.„ცნების უფსკრული„ 18.45 სერ.„მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამგზიცია„ 22.00 პროფილი 00.30 MTV PUNK'D 01.00 მხ.ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

მზე 08.00 ან.ფ. „საოცარი მითები და ლეგენდები„. 08.55 სერ.„მისი სულის მუსიკა„ 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ.ფ. 12.15 სერ. „ლარიდოს ძუძეები„ 13.00 მხ.ფ. 15.15 პუსი (გან.) 15.45 დოკ.ფ. „ექსტრემალური ამბები„ 17.10 სერ.„ვერონიკა მარსი„ 18.00 მხ.ფ. 20.00 სერ. „ტყუპები„ 21.00 სერ.“ბაუსნელი სასძმე„ 22.00 მხ.ფ. 00.05 მხ.ფ.

აჭარა 08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.50 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 დოკ. ფ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერიალი „საბა„ 12.50, 19.35 სერიალი (გან.) 13.50 გადაცემა „სცენა„ (გან.) 15.15 დოკ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფ. 23.00 მხ. ფ. „ოქროს ფინალა„ 01.10 მხ. ფ.„ნაპრძალის გზა„

ერთსულოვნება 08.30 განთიადი. 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35, 21.03 ლეკსით ქებათა ქება 10.50 დოკ. ფილმი „ქართული სამონასტრო ცხოვრება ასზე-ვარგარეთ„. 11.20 ჩვენი ტრაპეზი. 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფილმი „ბანგაში„ 13.40 კონცერტი — თამარ ჯოხონელი'ე. 15.05, 18.53 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„. 16.00 დები ტრევისი საოცარი სახლი. 16.25 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.50 მხ. ფილმი „არდადეგებზე„ 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.25 დიდ ხარ შენ უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მხ. ფილმი „ზეზ შემოდგომისა„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება. 21.05 ერთსულოვნების სალონი. 22.25 უკეთ უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 23.00 საღამოს ლოცვა. 01.00 მხ. ფილმი „„მეშვარის მოტანცება„ 2 ნაწ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო-ბავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი
18 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 1,6590

ევრო —2,1768

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 24-27, ღამით — 10-18
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 26-30, ღამით — 14-19
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 20-22, ღამით — 6-10

ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისთვის
ეროვნული ბიბლიოთეკა

15 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის პირველი ტომი

29 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის მე-2 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად – 8 ლარი

22 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

რჩეული ქართული ზღაპრები ტომი 1

კალაძე გამოსათხოვარ მატჩს საკუთარი ხარჯებით ჩაატარებს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატმა, კახა კალაძემ, რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ გამოსათხოვარი მატჩის ჩატარებას ნოემბრის დასაწყისში გეგმავს.

– ზუსტ თარიღს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ამ მატჩის ორგანიზებას ნოემბრის დასაწყისში ვფიქრობ. ყველა ჩამოვა, ვინც წლების განმავლობაში ჩემთან ერთად თამაშობდა. ჩვენ ყველაფერი მოვიგეთ, რის მოგებაც „მილანთან“ ერთად შეიძლებოდა. ისინი მზად არიან. ისინი მზად იყვნენ ჯერ კიდევ 13 სექტემბერს ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ნოემბერში ჩამოვლენ. მთავარია, რომ ხალხს ძალიან სურს ამ თამაშის ჩატარება. საქართველოს ბიუჯეტს რა დაუჯდება ეს მატჩი? რა შუაშია საქართველო? მე მაქვს ამის შესაძლებლობა და ბიუჯეტის ფული არ მჭირდება. ღმერთმა იმის საშუალება მომცა, რომ მშვიდად ვიცხოვრო და სახელმწიფოს ფული არ მჭირდება. თუ საჭირო გახდება, სახელმწიფოს თავად დავეხმარები – განაცხადა კალაძემ.

მ. ჯ

ასტროპროგნოზი
18 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – დღეს დიდი გამარჯვება გელოდებათ, მოემზადეთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** – სიახლე გელით, ცხოვრება გეცვლებათ. **ქალწული** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა არ არის ურიგო, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა ნამდვილად ღირდა. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეებს მოაწესრიგებთ. **თევზები** – კარგ ხასიათზე ყოფნა თქვენც გამოგიკეთებთ გუნებას და თქვენს ახლობლებსაც.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↓

შვეულად: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 12. საავტომობილო საბურავების გამომგონებელი ირლანდიელი მექანიკოსი; 14. გურულების, მესხების და აჭარლების ძველებური ტანსაცმელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 13. ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. იტალიური, ტკბილი სადესერტო ღვინო.

შეადგინა თეოფილეს შვილმა



მარსზე პოლიეთილენის ნაგლეჯი აღმოაჩინეს

პლანეტა მარსზე დაფიქსირებული უცნობი ობიექტი პოლიეთილენის ნაგლეჯი აღმოჩნდა. ასე თვლიან ნასა ექსპერტები, რომელიც საგნის ფოტოს სწავლობენ.

აპარტმა კურიოსიტიმ ძალიან პატარა საგანი 7 ოქტომბერს აღმოაჩინა, როდესაც პლანეტის გრუნტის ნიმუშებს

იღებდა. როდესაც ფოტო მიიღეს სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს ნათელ ობიექტს ფოტოზე, რომელიც ფოტოზე გამოსახულ სხვა ქვებს ზომით არ აღემატებოდა.

აღნიშნულს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მკვლევარებმა, რომლებმაც მარსზე მავალის სამუშაო გრაფიკიც კი შეცვალეს.

აპარატი უცნობ ობიექტს მსხვილი კადრით იღებდა, რისი შეშვეობითაც დაადგინეს რომ ფოტოზე პოლიეთილენის ნაწილია გამოსახული ან „მგავსი მასალა“.

საგნის სიგრძე 1,3 სმ-ს არ აღემატება. როგორც სპეციალისტების ვარაუდობენ, ეს ნაგლეჯი „კურიოსიტიმ“ პლანეტაზე დაშვებისას ჩაიტანა, თუმცა ამის დაბეჯითებით მტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია.

შეგახსენებთ, რომ მარსზე მავალი მოწყობილობის კურიოსიტის მთავარი მიზანი პლანეტის გრუნტის ნიმუშების აღებაა. ამ მოწყობილობაში ათი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

„სიყვარული აქცენტით“ თბილისის კინოთეატრებში გამოდის

ეკა ირემაშვილი

18 ოქტომბრიდან საქართველოს კინოთეატრებში რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის რეზო გიგინეიშვილის ახალი ფილმის „სიყვარული აქცენტით“ საპრემიერო ჩვენებებია დაგეგმილი. ეს ფილმი ახალი რუსულ-ქართული ნამუშევარია, რომელიც შვიდი დამოუკიდებელი ნოველისგან შედგება და თითოეულ მათგანს საქართველოს სიყვარული ან სიყვარული საქართველოში აერთიანებს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე